სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 6 ივნისი 2005 №126 (2448) ფასი 50 თეთრი



ნემსაძეს განზე გადგა

გუშინ გიორგი ნემსაძემ საპრეზიდენტო კანდიდატურა მოხსნა და გზა ნოდარ ახალკაცს და ვლადიმერ გუცაევს დაუთმო. ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე ბრძოლას სწორედ ეს ორი კანდიდატი შერჩა. მოგეხსენებათ, ნემსაძემდე კანდიდატურა რევაზ არველაძემაც მოხსნა.

გიორგი ნემსაძემ ამ გადაწყვეტილებამდე საკმაოდ ბევრი იფიქრა და გუშინ ბრძოლას ჩამოშორდა. მას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია, მოკლედ მოჭრა — არჩევნებში აღარ ვმონაწილეობ.

ჭირანია ჭირანიდან

საქართველოს ნაკრებმა საქართველო დათრგუნა

AFP ბერლინიდან



ჩაფლავება ევროპაში

საგარეჯო გერმანიაში დაიკარგა

13

რაფაელ ნადალი! ნედლი და უკვე დიდთა ბადალი



AFP პარიზიდან

ამ კვირაში

ამ კვირის ბოლოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია.

ჩვენი ფეხბურთის მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს, რა თქმა უნდა, ხმაურიანი ამბავია.

საერთოდ, ისე ჩანს, რომ ეს თანამდებობა საქართველოში ყველაზე ცხელი და სასურველია ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობის შემდეგ.

ამის მიზეზი რამდენიმეა. ერთი რომ, თავად ფეხბურთია სამართავი და ფეხბურთი ერთ-ერთი პირველი რამეა დედამიწის ზურგზე. მეორეც, ეს დამოუკიდებელი თანამდებობაა, რაც იშვიათია ჩვენნაირ ქვეყანაში. მესამე რომ... მესამეც, მეოთხეც, მეხუთეც... მოკლედ, ძალიან ბევრი მიზეზია იმისთვის, რომ ეს თანამდებობა სასურველი იყოს. ძნელი და კარგი საქმეა, მოკლედ.

ოღონდაც, რამდენადაც კარგი საქმეა, იმდენად საშინელი და რაც საქართველოში ფეხბურთის ფედერაცია არსებობს, სულ თან ახლავს სკანდალები, ამის მიუხედავად, მის პრეზიდენტობაზე ძნელად რომ ვინმემ თქვას უარი.

ახლა კანდიდატებზე და მათ შესაძლებლობებზე სულაც არ ვლაპარაკობთ. ისედაც ყველამ ყველაფერი იცის, რადგან ჯერ-ჯერობით ასეთი ქვეყანა გვაქვს, სადაც უფრო ხშირად წინდაწინ ვიცით ყველაფერი.

ჰოდა, ხომ ვაშენებთ ისეთ ქვეყანას, სადაც წინდაწინ არ გვეცოდინება ის, რაც არ უნდა ვიცოდეთ წინდაწინ. ფეხბურთშიც ზუსტად ასეა. ფეხბურთში ყველაზე მკვეთრადაა გამოხატული ის უბედურებები, რაც ჩვენს ქვეყანას დაუგროვდა. ამიტომ, ფეხბურთიც ისეთსავე გარღვევას უნდა ეცადოს, როგორსაც ქვეყანა. სხვანაირად, ცხადია, აზრი არ ექნება. ეგებ მოულოდნელია, მაგრამ ფეხბურთიც ისეთივე ძნელი საშენებელი ყოფილა, როგორც ქვეყანა, ვინაიდან არაფერი ისე არ არის ჩაბმული ქვეყანასთან, როგორც ფეხბურთი. სპორტის ყველა სახეობას მოუხერხებენ რაღაცას, ერთი მოჭიდავე და ერთი ძალოსანი მოგიხერხებენ რაღაცას. რაღაცას კი არა, დიდ სიხარულს, მაგრამ ფეხბურთი ვერასდროს ვერაფერს მოგიხერხებს იმიტომ, რომ ფეხბურთი ცხოვრებისგან ვერ გამოცალკევდება.

რაც ცხოვრებაა, ის არის და ერთ კაცზე აქ არაფერია დამოკიდებული. არამედ, როგორც ქვეყანაში — ათასებზე. იმ ათასებს კი მეთაური უნდა ჰყავდეთ. ერთ, იმ ერთზეა ძალიან ბევრი რამ ჩამოკიდებული.

თორემ, აგე, რა იყო კვირა საღამოს.

ის იყო, რაც ძალიან ბევრჯერ გვინახავს და რასაც ყოველდღე ვხედავთ. უკვე მერამდენედ ნოლიდან, თუ ნულიდან. როგორ არის უფრო სწორი, აღარ ვიცი.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მერვე ტური

AFP ტირანიდან

იგლი ტარემ და ერვინ შკელამ ჭართველებს ერიონ ბოგდანის (№22) პასებით გაუტანეს

საქართველო სიჩუმეში დაიკარგა

მიქელე იანკუ ტირანიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

„ყრუ მოგების ექო“ — ასე დააასათაურა ალბანურმა გაზეთმა „ექსპრეს სპორტმა“ შაბათის მატჩის მიმოხილვა... მართლაც საშინელება ყოფილა ფეხბურთი უქომაგოდ, ცარიელი ტრიბუნებით. არავითარი ემოცია, ჟინი... იყო მხოლოდ სიჩუმე და არაფერი მეტი. ტრიბუნაზე მხოლოდ ჟურნალისტები და ახალგაზრდული ნაკრებების ფეხბურთელები ვისხედით, ჰოდა, ჩვენი წამოძახილები თუ არღვევდა ამ სიჩუმეს. კიდევ პოლიციელები იყვნენ — სტადიონზე და მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 800 კაცი. რამდენიმე თავგადაკლულმა ქომაგმა კი თამაშს მაინც უცქირა — „ქემალ სტაფას“ ჩრდილოეთ ტრიბუნის უკან მდებარე საცხოვრებელი კორპუსების აივნებიდან და საზურავებიდან.

მატჩიც შესაბამისად დუნე და მოსაწყენი გამოდგა. მართალია, დროის ორი მესამედი უდიდესი უპირატესობა მასპინძლებისა იყო, მაგრამ არც მათ უთამაშიათ იდეალურად და ნაკლიც უამრავი ჰქონდათ.

ალბანელმა იგლი ტარემ მე-6 წუთზე მოახერხა გატანა და ამ გოლმა იქნებ საბოლოო შედეგიც განაზღვრა, მაგრამ იქამდე სტუმრებმა პირველ, მეორე და მეოთხე წუთებზე ზედიზედ სამი უნაღდესი მომენტი გააცუდეს და ამისთვის თითქოს დაისაჯნენო. განსაკუთრებით გიორგი დემეტრაძის შანსია აღსანიშნი — ის კარიდან ხუთიოდ მეტრში იმყოფებოდა, მაგრამ რატომღაც იჩქარა და ააცილა. ტარეს გოლი კი ცოტა უცნაური გამოვიდა. ფეხბურთელებს, მასპინძლებსაც და სტუმრებსაც, თამაშგარე მდგომარეობა რომ ეგონათ, არბიტრის ასისტენტმა სხვაგვარად განსაჯა და ფეხბურთელებს ჟესტით ანიშნა, თამაში გააგრძელეთო. ტარეც მეკარესთან პირისპირ დარჩა და გატანა აღარ გასჭირვებია.

მერე კი თამაში ერთადერთი ფეხბურთელის — ალბანელი ნახევარმცველის ერიონ ბოგდანისა იყო, რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა და ნაკრებს შაბათს დაუბრუნდა. უსამართლობა იყო, რომ ბოგდანმა მოედანი უგოლოდ დატოვა, მაგრამ რაც გააკეთა, სტუმრების დასამარცხებლად ისიც საკმარისი გამოდგა. სწორედ ბოგდანმა გაატანინა ერვინ შკელასა და იმავ ტარეს გოლები და როცა თამაში გააკეთა, მწვრთნელმაც შეცვალა. შეცვალა და ქართველებიც ათამაშდნენ. ბოლო ოცი წუთი უკვე სტუმრებისა იყო და მათ ცოტაც რომ ეყოჩაღათ, ცოტაც მოენდომებინათ, ეგებ არც წაეგოთ. ჭართველები რატომღაც მხოლოდ მატჩის მიწურულს ათამაშდნენ, მაგრამ სამი გოლის გასაქვითად დრო აღარ დარჩათ. არადა, ლადო ბურდულმა და ლევან კობიაშვილმა ხუთ წუთში შეძლეს ორი გოლის გატანა.

AFP ტირანიდან

ტირანა. 4 ივნისი. 22.30 საათი. ძმამალ სტადიონი

ალბანეთი 3:2 საქართველო

10 ტარე (6), 2:0 შკელა (33), 3:0 ტარე (55), 3:1 ბურდული (85), 3:2 კობიაშვილი (90)

ალბანეთი:	საქართველო:
ლიკა, ოსმანი, ჰასი, ბექირი, ალიჯი, დურო, შკელა (შკემბი 85), ჰაჯი (ბიბი 27), ჯუკი, ბოგდანი (ბურტაი 64), ტარე	სტურუა, მაღრაძე (ბურდული 64), კალაძე, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კვირკველია, რეხვიაშვილი, ასათიანი (დარასელია 58), კობიაშვილი, ჯაკობია, დემეტრაძე (ბობოხიძე 76)
სათადარიგონი: ბიდი; ლიჩი, დალკუ, კაბლანი	სათადარიგონი: ლომაია; მჟავანაძე, კვარაცხელია, ამისულაშვილი
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი	მწვრთნელი: ალენ ჟირესი

გაფრთხილება: რეხვიაშვილი (20), ოსმანი (60), დარასელია (75), დურო (90)

მსაჯები: ა. ტუდორი; კ. ნიკა, ა. ონიტა; მ. სალომირი (ყველა რუმინეთი)

ალენ ჟირესი: ძალიან უკმაყოფილო და იმედგაცრუებული ვარ. შესვენებამდე საერთოდ არეულები ვიყავით და ელემენტარული შეცდომებით მასპინძლებს გოლები ვაჩუქეთ. შესაძლოა, ეს ჩვენს გუნდში რამდენიმე გამოუცდელი ფეხბურთელის თამაშმაც განაპირობა. ძირეულ ტაიმში შედარებით უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ ფეხბურთი ხომ 90 წუთს გრძელდება და არა ერთი ტაიმი.

ჰანს-პეტერ ბრიგელი: ძალიან უკმაყოფილო ვარ, როცა ცარიელი ტრიბუნების წინ თამაშობ. ამას სჯობდა, მატჩი ნეიტრალურ ქვეყანაში, ოღონდ ხალხის თანდასწრებით გამართულიყო. ალბათ სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ თამაშის დასაწყისში ჩვენები მოდუნებულები ჩანდნენ, თითქოს ეძინათო, მათ ტრიბუნების მუხტი აკლდათ. მოკლედ, მხოლოდ შედეგით თუ ვარ კმაყოფილი, თორემ სხვა არაფრით. ეჭვქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ბიჭებმა დავალება ხუთიანზე შეასრულეს და მეტოქე ფლანგებიდან აიკლეს. სადღეისოდ ჩვენ ცხრა ქულა გვაქვს, თუმცა დარწმუნებული ვარ, მეტსაც მოვაგროვებთ.

უკრაინა	8	6	2	0	14:3	20
საბერძნეთი	8	4	3	1	12:6	15
თურქეთი	8	3	4	1	13:7	13
დანია	7	2	3	2	10:7	9
ალბანეთი	8	3	0	5	6:13	9
საქართველო	7	1	2	4	10:16	5
ყაზახეთი	6	0	0	6	2:15	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეზოჟეები

ვუგებთ ყაზახეთს, ვფიქრობთ საბერძნეთზე

უკრაინამ მეგოსტნეებს მოუგო

უკრაინა 2:0 ყაზახეთი

1:0 შევჩენკო (18), 2:0 ავდეევი (83ს.კ.)
უკრაინა: შოვკოვსკი, რადჩენკო (გუსინი 46), რუსოლი, იეზერსკი (ფიოდოროვი 86), ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, როტანი, გუსევი, ვორობეი, ვორონინი (ბელიკი 70), შევჩენკო
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
ყაზახეთი: ნოვიკოვი, ლიაპკინი, ავდეევი, დუბინსკი, ფამილცევი (ტრავინი 78), სმაკოვი (ნიზოვცევი 55), კარპოვიჩი, ბაიჟანოვი, როდიონოვი (ჩიჩულინი 31), ბალტიევი, კროხმალი
მწვრთნელი: სერგეი ტიმოფეევი
მსაჯი: გ. ნერელი (ავსტრია)

ჩვენი ჯგუფის ლიდერები: ანდრეი შევჩენკო (შუაში) და ძმანი მისი

უკრაინის ნაკრებმა ზედიზედ მეხუთე ევროშესარჩევი მატჩი მოიგო, თანაც ისე, რომ გოლი არ გაუშვია. ოლეგ ბლოხინის ბიჭებმა, შეიძლება ითქვას, წალეკეს წყალწაღებული ყაზახები და ლოგიკა რომ ყოფილიყო, 2:0 კი არა, 12:0 უნდა მოეგოთ. შევჩენკო და კომპანია 8 შეხვედრაში მოგროვილი 20 ქულით მიჰქრის გერმანიის მუნდიალისკენ.

სანამ შევჩენკო ანგარიშს გახსნიდა, უკრაინელებს სამი მომენტი ჰქონდათ გაცუდებული: ყაზახთა გოლკიპერმა სამწუთიან მონაკვეთში ჯერ რუსლან როტანი, მერე კი ორჯერ ანდრეი ვორონინი გაამწარა, თუმცა სადაც „შევაა", იქ გოლი როგორ არ შევა... „მილანის" სუპერვარსკვლავმა მეტოქის საჯარიმოში კარისკენ ზურგით მდგომმა ორი ყაზახი „აიცილა" და შემოტრიალებით დაარტყა — 1:0.

პირველ ტაიმში ბლოხინის შეგირდები ისე რა უტევდნენ, მეორეში კი მთლად აიკლეს ბეჩავი სტუმრები. შეცვლაზე შესულმა ანდრეი გუსინმა ორჯერ დაარტყა სახიფათო თავური, შევჩენკოც ბრწყინავდა და ერთ მომენტში ცენტრიდან დაწყებული გარღვევის შემდეგ ოდნავ რომ არ აეცილებინა, მორიგ სუპერგოლს მიითვლიდა. ანდრეის მეწყვილე ვორონინს გოლი არ ჩაუთვალეს, თუმცა თავად ყაზახებმა დაუფასეს უკრაინელებს კარგი თამაში — 83-ე წუთზე მათმა მცველმა ავდეევმა როტანის ჩაწოდებულ ბურთს საკუთარ კარში მოუძებნა ადგილი.

ყაზახეთის ნაკრები უკრაინის ჩემპიონატის მეორე ლიგის დონის გუნდია — ასე შეაფასა მეტოქე უკრაინულმა მასმედიამ. ისე, საქართველოს ნაკრების გუშინწინდელი თამაში რომ ენახათ, საინტერესოა, მეორე ლიგას მაინც „გაიმეტებდნენ"?

ოლეგ ბლოხინს ყაზახებთან თამაშზე იმდენი არ ულაპარაკია, რამდენიც 8 ივნისის მოახლოებულ მატჩზე: „საბერძნეთს თუ სტუმრად მოვუგეთ, ასი პროცენტით მსოფლიოს ჩემპიონატზე ვართ, თუმცა არც ფრე იქნება ცუდი შედეგი. ყაზახეთი არაა ძლიერი გუნდი, მაგრამ მაინც ვშიშობდი, სწრაფი გოლი გვინდოდა და რომ შევაგდეთ, ხომ ნახეთ — თავდაჯერება ვიგრძენით და უამრავი მომენტი შევქმენით. შევჩენკო ბოლომდე დაიხარჯა, ის ნამდვილი ლიდერია. ამას ბიჭებიც გრძნობენ და მასზე აწყობენ თამაშს".

მორიგი წაგებით თავჩაღუნულმა სერგეი ტიმოფეევმა კი ბანალურად თქვა, რაც შეგვეძლო, ის ვქენი მაშეთო. „ყაზახეთის არ ჰყავს ძლიერი მოთამაშეები, ასეთ შეკლიბებს ნაკრების ფეხბურთელები არ ეწევა უმეტესდნენ. ინფრასტრუქტურის ხელოვნურად, კოეკში ჩამოსვლამდე ინსტანში ვვარჯიშობდით".

ილია ნანოგაშვილი

თურქები და ბერძნები ნულებს შეეჩვივნენ

ევროპულ ოჭროს და მსოფლიოს ბრინჯაოს თანაბარი ფონა აქვს

AFP სტამბოლიდან

გეორგიოს კარაგუნისის (№20) საბერძნეთმა სტამბოლიდან საჰირო ქულა წაიღო

არცთუ შეხმატკბილებულმა მეზობლებმა მშვიდობიანი ანგარიში კი დაფიქსირეს, მაგრამ თამაშს არაფერი ეტყობოდა სიმშვიდისა. თურქებიც და ბერძნებიც გამეტებით, ცელივით იქნევდნენ ფეხებს და მარკუს მერკი ცოტა მომბალ ხასიათზე რომ არ ყოფილიყო, ბაშთურქის გარდა ერთი-ორ სხვასაც აუფრიალებდა წითელ ბარათს.

სასწორზე სამი კი არა, ექვსი ქულა იდო და მოსალოდნელიც იყო, რომ „ჩახუთული" თამაში იქნებოდა. ოტო რეჰაგელს ნახევარდაცვის წამყვანი ფიგურა თეო ზაგორაკისი აკლდა, რამაც თურქები მოედნის ცენტრში გააბატონა. ანტონის ნიკოპოლიდისმა ერთხელ ემრე ბელოზოღლუს აუღო შორიდან გასროლილი, ერთხელაც ფათიჰ თეკეს მძლავრი თავური შეიმაგრა ხელებში.

მეორე ნახევარში ევროპის ჩემპიონებმაც გამოიღეს ხელი და მათში გამორჩეულმა ხოტორა ნახევარმცველმა სტელიოს იანაკოპულოსმა 20-25 მეტრიდან კარის ჯვარედინს შეაწყვიტა ბურთი. თითქოს სიგნალი ჩაირთო, ელინელებმა ხუთწუთიანი შტურმი მოაწყვეს და ოსმალები მეკარე რუშთუმ იხსნა, როცა გეორგიოს კარაგუნისის დარტყმული მოიგერია.

თურქეთი 0:0 საბერძნეთი

თურქეთი: რუშთუ, თოლგა, უმით ოზატი, იბრაჰიმი, ჩიმშირი, ჰამიტ ალტინტოპი, კორაი ავჩი (თუნჯაი 46), ემრე (სერქანი 79), ბაშთურქი, კარადენიზი (ნეჯათი ათეში 61), ფათიჰ ტეკე
მწვრთნელი: ერსუნ იანალი
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ბასინასი, გუმასი, ფისასი, კაპსისი, კარაგუნისი, კაცურანისი, იანაკოპულოსი (ლაკისი 67), ვრიზასი, ხარისტიასი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
გაფრთხილება: კარადენიზი (38), კაცურანისი (45), ბაშთურქი (45), კარაგუნისი (86), ბაშთურქი (89)
გაძევება: ბაშთურქი (89)
მსაჯი: მ. მერკი (გერმანია)

წასაგებად ორივე გუნდი ცოდო იყო და, აკი, ბედმაც ისე ინება, რომ ამათი ათენური მატჩის მსგავსად, სტამბოლურიც 0:0 დასრულებულიყო. ეგაა, ბერძნებს 8 ივნისს უკრაინასთან კოსტას კაცურანისი დააკლდებათ, რომელმაც თურქებთან ზაგორაკისის ფუნქციები შეასრულა.

მოკლედ, ზეგ რეჰაგელის ბიჭებს ორი ელით, თურქებს კი რა უჭირთ — ბეჩავ ყაზახეთს სტუმრობენ.

საბერძნეთი მეორე ადგილზე დარჩა და ისევ 2 ქულით უსწრებს ერსუნ იანალის გუნდს, თუმც ლიდერ უკრაინას უკვე 5 ქულით ჩამორჩა. გამოსათვლელად იოლია: თუ ელინელებმა ბლოხინის სამწყსოს აჯობეს, მდგომარეობას დაძაბავენ, თუ არადა, მეორეობაც ძალიან სათუო გაუხდებათ...

იანალი თამაშამდეც ამბობდა, საბერძნეთთან მხოლოდ მოგება დამაკმაყოფილებსო და ნამატჩეს ვერ იყო ხასიათზე. რეჰაგელმა კი აღნიშნა, პირველ ტაიმში დიდ ბეწვილას გავუძელით და ფრე საჩვენო ანგარიშია, რადგან თურქებს გადასწრების საშუალება არ მიეცითო.

„მართლაც ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც მინდოდა. უპირატესობა ვერ მოვიპოვეთ, რადგან მასპინძლები ლომებივით იბრძოდნენ. ახლა უკრაინასთან ოთამაშზე ვფიქრობ. კაცურანისის ადგილას ზაგორაკისი დაბრუნდება და ამ მხრივ პრობლემას ვერ ვხედავ" — ესეც „მეოცე ოტოს" თურქული შოკოლადებში და ფინალის ტოლფასი მატჩისწინა განწყობა...

ილია ნანოგაშვილი

geo_geo_fan@hotmail.com

ესეც კიდევ ერთი უსუსური თამაში, რომლის მერე აღარც კომენტარის გაკეთება გინდა კაცს და იმედი, რომ ნაკრებს ეგებ საშველი დაადგეს, ვაი რომ, სადღაც ქრება.

თუმცა ჩვენს ფოსტაში რამდენიმე წერილი მაინც მოვიდა, რომლებსაც უკომენტაროდ გაგაცნობთ...

სალამი „სარბიელს"!

მახსოვს, ქართული საკლუბო ფეხბურთის მორიგი სამარცხვინო გაცამტვერების (როგორ „დეჟურნად" და ჩვეულებრივად ჟღერს ეს სიტყვები) შემდეგ „სარბიელი" ნერდა: გამოუცხადებლობისთვის სანქციები რომ არ იყოს დაწესებული, ჩვენი გუნდები გასვლით მატჩებს აღარც ჩაატარებდნენო. სნორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა, ნუხელ „რაღაცას" რომ ვუყურებდი! ალბანელები რა ხვითოებიც არიან, ყველამ ვიცით და ამ გუნდთან...

გამოთქმაა ასეთი: დედის გულს რა ვუთხარი, თორემ ეგ რა გასაზრდელი იყოო?!

ეეჰ! გულშემატკივრის გულს რა ვუთხარი, თორემ ეგენი რა საგულშემატკივრო არიან?!

და ბოლოს „ლოკომოტივის" სტადიონის მიდამოებში საცხოვრებელი კორპუსები არ დგას, თუმცა რომც იყოს, არა მგონია, ვინმემ ეროვნული დროშების გადმოფენითა და მაშხალებით „უბალელშჩიკოს" ყაზახეთისა და უკრაინის წინააღმდეგ მოთამაშე საქართველოს სირცხვ... უკაცრავად, „ეროვნულ ნაკრებს".

BEST REGARDS, LONG 70

ღამე მშვიდობისა, თუ არის ეს ღამე მშვიდობიანი...

დავიწყებ იმით, რომ არაფხიზელი თვალით ვუყურე ჩვენების თამაშს და აზრი ჩამომიყალიბდა, რომ ჩვენებიც არაფხიზელნი იყვნენ.

ეხლა შევუდგეთ ანალიზს. დავიწყებ იმით, რომ ჩვენი ნაკრების სელექცია თუ „ტრენერები" არ ვარგიან. და რატომ? იმიტომ რომ, როცა ნაკრების შეკრების პირველ დღეს გამოგაკლდება ხუთი და მერე კიდევ ორი ფეხბურთელი, ეს არის მწვრთნელების და მათი შტაბის ბრალი. ნუთუ არ იცოდნენ შეკრებამდე, რომ ამ ხალხს ტრავმა ჰქონდა და სხვა მაგდაგვარი?! ნაკრების ფეხბურთელი ან კანდიდატი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს და შტაბი მგონი თამაშამდე სამი დღით ადრე გებულობს, რომ არველაძეს თურმე ტრავმა ჰქონია, ცქიტიშვილს ოჯახში პრობლემები. აღარ მინდა ჩამოთვლა, ვის რა პრობლემა აწუხებს კიდევ. ისედაც ყველას რაღაც პრობლემა აქვს ქვეყანაში. მინდა ვთქვა, რომ ნარინჯისფერმა რევოლუციამ აჯობა ვარდების რევოლუციას ფეხბურთის ამბავში. იმიტომ რომ, ისინი 2006 წელს გერმანიაში იქნებიან, ჩვენ კი კვლავ ჩავატარებთ ამხანაგურ მატჩს ან აზერბაიჯანთან ან მოლდოვასთან. ჰოდა, იმასაც დავამატებ, რომ მაგარი კოშმარია ცარიელი ტრიბუნების ცქერა.

P.S. ჯიგრები ხართ, აბა ჰე, მომავალ შეხვედრამდე.

უშანგი რუხაძე

TENGO_G72: თამაშის გარჩევას არ დავიწყებ, მარტო იმას გეტყვით, რომ ჩემმა ცოლმა მაგრა გაიხარა. ტელევიზორში „ამტანის" ყურება უნდოდა და მე არ ვაყურებინებდი, რა დროს ეგ სისულელეა, ფეხბურთი უნდა ვნახომეთქი. მაგრამ პირველ ტაიმს ვუყურე და ფეხბურთი რომ ვერ ვნახე, ჩემ ცოლს გადავართვევინე. აი, ეგრე იყო.

გადარი კეთილაძის ფოტო

გამტანი გამტანებთან მივიდა

დიმიტრი ტატანაშვილი ამერელია

პირველ ლიგაში სეზონი ჯერ არ დასრულებულა — დღეს ბოლო ტური და საჩემპიონო მატჩია, გლდანში, „ამერის" სტადიონზე, „ამერი" და „ბორჯომი" ლიგის ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებენ.

თუმცა ორივენი უკვე უმაღლესლიგელები არიან, „ამერი" კი საუმაღლესლიგო თადარიგის დაჭერას აქედანვე შეუდგა: შაბათს „ამერმა" სპარტაკელი მეგოლე დიმიტრი ტატანაშვილი გადაიბირა და 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ტატანაშვილმა ამ სეზონში 15 გოლი გაიტანა. პირველ ლიგაში მასზე მეტი გოლი მხოლოდ სულიკო დავითაშვილს და ბორჯომელ ზურაბ მუშკუდიანს აქვთ გატანილი. ტატანაშვილთან ერთად 15 გოლით მესამე ადგილს კიდევ ერთი ამერელი, დავით სევასტოპულო იყოფს.

— „ამერში" ჩემ გადასვლაზე ზამთარშიც იყო ლაპარაკი, მაგრამ მაშინ შეთანხმება არ მოხერხდა. ახლა კი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და თავს უკვე ამერელად ვგრძნობ.

— „ამერს" კარგად ვიცნობ. ბოლოს და ბოლოს, ამ სეზონში ძის წინააღმდეგ ორჯერ ვითამაშე. უმაღლეს ლიგაში გადასვლა ნაძღვილად დაიმსახურა.

— უმაღლეს ლიგაში ერთი სეზონი მაქვს გატარებული და იქაური სპეციფიკაც ვიცი. დარწმუნებული ვარ, „ამერი" უმაღლესი ლიგის ერთი სერიოზული გუნდი მომავალ სეზონშიც გახდება. ის, რომ, რაკი უმაღლესის დებიუტანტია და ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებსო, ეგრე არ იქნება.

— ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, როგორიც „ამერში" არიან, ბევრ გუნდს არ ჰყავს და ამ გამოცდილი ფეხბურთელების მხარდამხარ ახალგაზრდებიც რომ თამაშობენ, ძალიან კარგია, ეს კლასის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა.

— მოკლედ, „ამერში" მოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ და მომავალს იმედიანად ვუყურებ. ჩემს ახალ კლუბს არ დავაღალატებ და საერთო წარმატებაში, იმედი მაქვს, ჩემს წვლილსაც შევიტან.

კოტე კეკელია

ავალ-ჩამოსასვლელი ბილეთი 1 ლარი

ფეხბურთი
ფკ ამერის სკოლა
პირველი ლიგა
6 ივნისი
ოცდამეათე ტური
ამერი — ბორჯომი
თბილისი ბორჯომი
დასაწყისი 17.30 საათზე
დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი №25
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www. fcameri.ge

AFP სურ. დეფინიდან

„ოსერმა“ გუშინწინ საფრანგეთის თასი ისტორიაში მეოთხედ მოიგო

სპილოს ძვლის გოლი

საფრანგეთი

თასის ფინალი

ოსერი 2:1 სედანი

1:0 მვარუვარი (37), 1:1 ნორო (63), 2:1 ბ. კალუ (90)

ბონავენტურე კალუს მიერ მსაჯის წამატებულ წუთებში გატანილი გოლით „ოსერმა“ მეორედივიზიონელი „სედანი“ 2:1 დაამარცხა და ისტორიაში მეოთხედ მოიპოვა საფრანგეთის თასი. აღსანიშნავია, რომ სპილოს ძვლის ნაპირთა ნაკრების თავდამსხმელმა ამ ფინალის წინა დღეს, პარასკევს, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ლიბიის წინააღმდეგ ითამაშა და აფრიკიდან ახალდაბრუნებულმა მოედანზე შესვლა 71-ე წუთამდე ვერ შეძლო, მაგრამ ბედმა ასე ინება, რომ გადამწყვეტი გოლი სწორედ მას გაეტანა.

„ფანტასტიკურია! — ზეიმობდა კალუ — წინა დღეს ლიბიის კარში გოლი ვერ გავიტანე და საძაგელ გუნებაზე ვიყავი.“

„ოსერის“ მწვრთნელმა, გი რუმ ფინალს ასეთი შეფასება მისცა: „ეს იყო დაძაბული მატჩი, რომელშიც სამი გოლი გავიდა.“

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „სედანი“ ქვედა დივიზიონის გუნდია, ხოლო ასეთებს საფრანგეთის თასის ფინალში არ უმართლებთ. თავად განსაჯეთ, ერთადერთი გუნდი, რომელმაც მეორე დივიზიონიდან თასის მოგება შეძლო, გახლდათ ქვეყნის ყველაზე ასაკოვანი კლუბი „ლე ავრი“. ეს იყო შორეულ 1959 წელს, არადა, უნდა ითქვას, რომ საფრანგეთში ფინალამდე საკმაოდ ხშირად მიდიან ქვედადივიზიონელები.

„სედანს“ ეს ჯილდო ბოლოს 1961 წელს ჰქონდა მოგებული.

„შეიძლება ითქვას, რომ სეზონი ჩავაგდეთ — განაცხადა კალუს გოლით გაწბილებულმა ცნობილმა სედანელმა ნახევარმცველმა პიერ ნჯანკამ — ვერც ჩემპიონატში მივაღწიეთ წარმატებას და აგერ, თასიც გვერდზე დაგვრჩა“.

„არადა, ჩამორჩენა ჩინებული გოლით გამოვასწორეთ, მაგრამ ბოლო წუთებში დაცვის ჩარაზვა ვეღარ შევძელით. შესაძლოა, ცოტა გამოცდილებამაც გვიმტყუნა“ — ეს სიტყვები კი მეკარე პატრიკ რენომ დასძინა.

საკუთრივ თამაშში პირველი სახიფათო მომენტი „ოსერმა“ შექმნა, როდესაც თავდამსხმელმა ბენჟამინ მვარუვარიმ ძელს გაარტყა ბურთი. თუმცა ზიმბაბველმა მაინც გახსნა ანგარიში — შესვენებამდე 8 წუთით ადრე, მან სლალომით შეაღწია მოწინააღმდეგის საჯარიმოში და ზემოხსენებულ რენოს ახლოდან გაუტანა.

შესვენებისას „სედანის“ მწვრთნელმა სერჟ რომანომ თავდასხმის გაძლიერების მიზნით, ნახევარმცველი მარკუს მოკაკე თავდამსხმელით, სედრიკ სედანით შეცვალა.

რომანოს გუნდმა 64-ე წუთზე სტეფან ნოროს გამაოგნებელი, 30 მეტრიდან დამიზნებული დარტყმით გაათანაბრა — ბურთი ძელთა გადაკვეთასთან შეფრინდა ბადეში.

ბოლო გოლზე კი უკვე მოგახსენეთ — აფრიკიდან ახალდაბრუნებულმა კალუმ კანგა აკალეს პასს დაბალი და შედეგიანი დარტყმა დაახვედრა.

პაპუნა კედია

რუს კარიერის დასასრული

კვირას „ოსერის“ ლეგენდარულმა მწვრთნელმა გი რუმ განაცხადა, რომ მწვრთნელის კარიერას ასრულებს. მოგეხსენებათ, რუს ლეგენდარულობა უპირველეს ყოვლისა სწორედ იმაშია, რომ 1961 წლის შემდეგ ერთსა და იმავე სკამზე ზის ანუ მშობლიური ბურგუნდიული გუნდის მწვრთნელია.

„წასვლა გადავწყვიტე — უთხრა 66 წლის სპეციალისტმა **TF1**-ის კორესპონდენტს საფრანგეთის თასის ფინალში, „სედანთან“ 2:1 გამარჯვების შემდეგ — ოღონდ, მოღვაწეობას კი არ ვწყვეტ, უბრალოდ, პროფილს ვიცვლი. მინდა მწვრთნელობას „გამარჯვებულის“ რანგში დავანებო თავი“.

გი რუ, რომელიც ისეთი ფეხბურთელების კარიერის სათავეებთან იდგა, როგორებიც იყვნენ ერიკ კანტონა, მაზილ ბოლი და სხვანი, ის ადამიანია, რომლის მეცადინეობით „ოსერი“ რეგიონული დივიზიონიდან საფრანგეთის ერთ-ერთ გამოჩენილ გუნდობამდე და თვით ჩემპიონთა ლიგის მეოთხეფინალისტობამდეც კი აიზარდა. თუმცა სიტყვა რომ არ გაუგრძელდეს, მისი ბიოგრაფიის მიაგავდა მომენტები ეგრეთწოდებული ფეხბურთილის სახით მოვიტანთ.

პაპუნა კედია

გი რუ

დაიბადა 1938 წლის 18 ოქტომბერს კოლმარში, საფრანგეთი.

1961 წელს „ოსერში“ მოთამაშე-მწვრთნელი ხდება.

1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელი ფულის შესაგროვებლად მუშაობას იწყებს ადგილობრივ გაზეთში „ლ'იონ რეპუბლიკან“.

1974 წელს „ოსერი“ მეორე დივიზიონში გადაჰყავს.

1979 წელს „ოსერი“ ისტორიაში პირველად თამაშობს საფრანგეთის თასის ფინალში, სადაც დამატებით დროში მარცხდება „ნანტთან“ 1:4.

1980 წელს იგებს მეორე დივიზიონის პირველობას და პირველ დივიზიონში გადადის.

1993 წელს „ოსერი“ პირველად იგებს საფრანგეთის თასს: ფინალში ამარცხებს „მონპელიეს“ 3:0.

1996 წელს „ოსერი“ ხდება საფრანგეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი. გუნდში თამაშობენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ლორან ბლანი, საბრი ლამუში და ბერნარ დიომეები.

1997 წელს გუნდი გადის ჩემპიონთა ლიგის მეოთხეფინალში.

2000 წელს გი რუ ამბობს, რომ მწვრთნელობას თავს ანებებს და გუნდში გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე გადადის.

2001 წელს ისევ მწვრთნელობას უბრუნდება, თუმცა 23 ნოემბერს იკეთებს გულის მძიმე ოპერაციას. საინტერესო დამთხვევაა, რომ მანამდე, ცოტა ხნით ადრე, გულის ოპერაციას იკეთებს მისი თანამემამული, „ლივერპულის“ მწვრთნელი ჟერარ ულიე. შემდეგ ორივე სპეციალისტი სარეაბილიტაციო პერიოდს კორსიკაში გადის.

2003 წელს „ოსერი“ ისევ საფრანგეთის თასის მფლობელია. ამჯერად ფინალში „პარი სენ ჟერმენს“ ამარცხებს 2:1.

2005 წლის 4 ივლისს „ოსერი“ მეოთხედ ეუფლება საფრანგეთის თასს. მეორე დღეს გი რუ მწვრთნელობას თავს ანებებს.

არსენალში სული არ არის
ეშლი კოული ალბათ წავა

ინგლისში გრძელდება ეშლი კოულის სკანდალი, რომელიც ფეხბურთის ასოციაციამ 100 ათასი გირვანქით დააჯარიმა „ჩელსისთან“ მალული შეხვედრისთვის.

„არსენალის“ მცველი ახლა ფიქრობს, რომ „მეთოფეთა“ კლუბში აღარ დაედგომება, ამასობაში კი ცხადი ხდება ამ საქმის დეტალები.

კოულს და მის აგენტ ჯონათან ბარნეტს დიდი ტრანსფერის გაჩარხვა სდომებიათ და ამიტომაც, „არსენალის“ გვერდის ავლით უთხოვიათ „ჩელსის“ შეფ პიტერ კინიონისთვის შეხვედრა. სხვათაშორის, „ჩელსი“ და მისი მენეჯერი ჟოზე მაურინიუ ჯამში ნახევარი მილიონი გირვანქით დააჯარიმეს.

კინიონმა ასე უამბო დამოუკიდებელ კომისიას: „სურვილი მათი შეხვედრა იყო. მათ მოგვიწვიეს. ბარნეტმა გვითხრა, რომ მხოლოდ იმისთვის გვთხოვა შეხვედრა, რათა გვიამბოს, რა სიტუაციაში აღმოჩნდა ეშლი. მე და ჟოზე მივედით. მათ გვიამბეს, რომ მენეჯერთან ურთიერთობა კარგი არა აქვთ და, რომ გუნდში ფეხბურთელები ჯგუფებად არიან, ვითარებას კი ფრანგული ჯგუფი მართავს. ეშლიმ თქვა, რომ გუნდური სული „არსენალში“ არ არის, ხოლო „ჩელსიში“ არის და ამიტომაც გამოგვდის საქმე“.



ეშლი კოული ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას არ ეთანხმება

მთელი ეს ისტორია კი აგვისტოში დაიწყო, როცა ბარნეტმა და კოულმა ახალ კონტრაქტზე წამოიწყეს მუშაობა და „არსენალს“ 25 ათასის ნაცვლად, კვირაში 60 ათასი მოსთხოვეს. ბარნეტმა ასევე მოითხოვა კუთვნილი წილი ძველი და ახალი კონტრაქტიდან, რამაც „არსენალის“ უფროსობა გააღიზიანა.

დეკემბერში, „მეთოფეთა“ ვიცე-თავმჯდომარე დეიდ დინი ბარნეტს შეხვდა რესტორანში და, როგორც ეს უკანასკნელი ამბობს, ყველაფერზე შეთანხმდნენ. დინი ამას უარყოფს.

„ეშლიმ ასევე გვითხრა — განაგრძობს კინიონი — რომ გუნდში არანაირი ინვესტიცია არ არის და ამიტომ არც წინსვლაა. მას კი ამბიცია აქვს, რომ რაღაცეები მოიგოს, რადგან ახალგაზრდაა. საერთოდ, ამ ლაპარაკში უკანონო არაფერი იყო. ის, როგორც პროფესიონალი და თავის მომავალზე მზრუნველი კაცი, ისე ლაპარაკობდა. უკმაყოფილო ჩანდა საკონტრაქტო მოლაპარაკებებით, რადგან იცოდა, რომ ვინგერი მხარს არ უჭერს მის ასეთ კონტრაქტს. ამის მიზეზი ვერ ეპოვნა და ამას განიცდიდა“.

რაც შეეხება მაურინიუს, კინიონს უთხოვია, წავიდეთ ამ შეხვედრაზეო, რადგან თუკი ვინმეს შენს კლუბში უნდა გადმოსვლა, შენ მას უნდა ესაუბრო. კოულს გაჭკვირვებია კიდეც, მაურინიუ რომ „პარკ ჰოტელში“ მისული დაუნახავს.

კომისიაზე სხვა ამბებიც მომხდარა: კოულის აგენტ ბარნეტს ასოციაციისთვის წარუდგენია კოულის მიმოლურზე მისული მესიჯი, კვირაში 80 ათასზე ნაკლებს არაფერით დათანხმდეო. მესიჯს, თურმე პატრიკ ვიერა აწერდა ხელს. ვიერა მტკიცედ უარყოფს ამ მესიჯის ავტორობას. ბარნეტი კი ამბობს, რომ „არსენალში“ კვირაში მხოლოდ 55 ათასზე იყო თანახმა, ბარნეტს კი ეს ესეიესი, ოთავის დროზე დენისთვისაც უმცირესია, სხვა კლუბიც არსებობს, რომელიც ეშლის 80-90-ს გადაუხდისო.

„ჩელსი“ უარყოფს, რომ კოულზე ვაჭრობას აპირებდა. ეს ყველაფერი ბარნეტის ეშმაკობა ყოფილა, რათა „მეთოფეთა“ უფროსობა დაეინტერესებინა. თუმცა ვიერას რა რჯიდა, ძნელი გასაგებია, ალბათ, კოულის ახალი კონტრაქტი სხვებისთვისაც სამაგალითო უნდა შექნილიყო. თანაც ბარნეტს უთქვამს, თუ კოულს დიდ ხელფასს დაუნიშნავთ, მერე ბარე 20 მილიონად შეგეძლებათ გაყიდვა.

ასე რომ, კოულის ამბავი ვრძელდება. მისი ვექილი საჩივარს აშზადებს, რადგან ფეხბურთელს 100 ათასიანი ჯარიმის გადახდა არ უნდა.

ირაკლი გამყრელიძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

I ჯგუფი

ჰოლანდია 2:0 რუმინეთი

1:0 რობენი (26), 2:0 კუიტი (47)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ლუსიუსი, ჰეიტინგა, ოპდამი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი (დე იონგი 51), ვან დერ ვაარტი (მადურო 81), ლანძაატი, კუიტი, ვან ნისტელროი (ვან პერსი 64), რობენი

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

რუმინეთი: ლობონტი, ტამაში, კივუ, კონტრა, პეტრე, სტოიკა, დ. მუნტიანუ, პანჩუ, მიტია (ნიკულაე 66), მუტუ (კომანი 84), ნიკულესკუ

მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

50 000 მაყურებელი

ჩეხეთი 8:1 ანდორა

1:0 ლოკვენცი (13), 2:0 კოლერი (29), 2:1 რიერა (35), 3:1 შმიცერი (38), 4:1 გალაშეკი (52პ), 5:1 ბაროში (80), 6:1 როსიცკი (86პ), 7:1 ჰოლაკი (87), 8:1 ლოკვენცი (90)

სომხეთი 1:2 მაკედონია

0:1, 0:2 გ. პანდევი (28პ, 48), 1:2 მანუჩარიანი (55)

გამატანილე, გაგატანილებ

ყველაზე მაღლის ყველაზე ბევრი

მას შემდეგ, რაც მარკო ვან ბასტენმა ჰოლანდიის ნაკრები ჩააბარა, აგერ უკვე მეათე მატჩია. „ნარინჯისფერებს" არ წაუგიათ. შაბათს, როტერდამში რუმინეთის ძლევით მოპოვებულმა სამმა ქულამ კი ჰოლანდიელები სატურნირო ცხრილის კენწეროზე დატოვა.

მატჩის წინ რუმინელთა მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა ბევრს კი ბაქ-ბექობდა, აქაოდა, მასპინძლებს ხახამშრალებს დავტოვებთ, როტერდამიდან ხელდამშვენებულნი წავალთო, მაგრამ სიტყვა საქმედ ვერ აქცია, ვერც საამპატჩოდ ნაკრებში წვეული ნაკოკაინარი ადრიან მუტუ შეეშველა ხეირიანად თავისიანებს, საბოლოოდ ის გამოვიდა, რომ რუმინეთი 13 ქულით მესამე ადგილზე დაეყუდა.

AFP როტერდამიდან

ჰოლანდიელთა გამარჯვებაში ლომის წილი არიენ რობენმა დაიდო

მარკო ვან ბასტენმა დაპირებისამებრ სამი თავდამსხმელი ათამაშა — რუუდ ვან ნისტელროის და დირკ კუიტს ჩელსელი არიენ რობენი შეუწყვილა და, როგორც გამოჩნდა, სწორედ რობენის ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა ჰოლანდიელთა გამარჯვება. არადა, თავიდან სტუმრები მიაწვნენ მასპინძლებს, კლაუდიუ ნიკულესკუს გატანაც შეეძლო, თუმც ედვინ ვან დერ სარმა არ დაანება.

ეს იყო და, ჰოლანდიელებმა საქმეს ჯეროვნად მოჰკიდეს ხელი, ბოგდან ლობონტის კარისკენ მძლავრად გაიწივნენ და 26-ე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც — დირკ კუიტის ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს არიენ რობენმა კარიდან ექვსიოდ მეტრში ისე დაჰკრა, ლამის ბადე გახია. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე რობენმა კუიტს ვალი დაუბრუნა — საჯარიმოდან ბურთი თავზე დაასვა და ფეიენოორდელსაც გატანა არ გასჭირვებია.

მალე ჰოლანდიელებს მესამის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა რობინ ვან პერსიმ რობენ-ვან დერ ვაარტის მახვილგონივრული კომბინაცია გოლად ვერ აქცია — ახლო მანძილიდან ააცილა.

მარკო ვან ბასტენის გუნდს კვალში უდგას ჩეხეთის ნაკრები, რომელმაც საშინაო მატჩში ანდორას გადაუარა — 8:1 დაამარცხა. ამ რვა გოლიდან ერთი იან კოლერისა იყო. ეს ამბავი კი იმად გამოვარჩიეთ, რომ ჩეხთა ახმახ ფორვარდს 35 სანაკრებო გოლი მოუგროვდა და ანტონინ პუცემთან ერთად ჩეხეთის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი შეიქნა.

სოსო კოტორეიშვილი

ჰოლანდია	7	6	1	0	16:3	19
ჩეხეთი	7	6	0	1	22:6	18
რუმინეთი	8	4	1	3	12:10	13
ფინეთი	6	3	0	3	13:10	9
მაკედონია	8	2	2	4	9:10	8
სომხეთი	8	1	1	6	5:17	4
ანდორა	8	1	1	6	4:25	4

სიომინის წითელი რუსეთი

III ჯგუფი

რუსეთი 2:0 ლატვია

1:0 არშავინი (56), 2:0 ლოსკოვი (78პ)

რუსეთი: აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, სმერტინი, ვ. ბერეზუცკი, ჟირკოვი, ანიუკოვი, სემშოვი (სენიკოვი 67), ალდონინი (ბისტროვი 55), ლოსკოვი, არშავინი, კერჟაკოვი

მწვრთნელი: იური სიომინი

ლატვია: პიედელსი, სტეფანოვსი, სმირნოვსი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, ზირნისი, ისაკოვსი (ჟავორონკოვსი 84), რუბინსი, ბლეიდელისი, პროხორენკოვსი (რიმკუსი 78), ვერპაკოვსკისი

მწვრთნელი: იურის ანდრეევსი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრაგეთი)

21 500 მაყურებელი

რუსთა ნაკრების ახალმა მწვრთნელმა იური სიომინმა სანკტ პეტერბურგის „პეტროვსკი პარკზე" კარგი დებიუტი მოიწყო, მისმა გუნდმა 2:0 დაამარცხა ლატვიის ნაკრები და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შეინარჩუნა.

ცხადია, ნამატჩევს სიომინი გახარებული იყო, თუმც არც ის დაუმალავს, რომ დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა მეტად შეაშფოთა. „არ შეიძლება ამდენი კონტრშეტევების გატარება. მართალია, შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ დაცვის ხაზმა სუსტად ითამაშა, თუ ეს ხარვეზი არ გამოვასწორეთ, მომავალ მატჩებში დავისჯებით" — გადაუშალა გული სიომინმა რუსულ მედიას.

„ლოკომოტივის" ყოფილმა მწვრთნელმა რუსები გუნდის ტაქტიკური მონახაზის შეცვლით გააკვირვა — სიომინმა 3-3-2 სქემა ირჩია და, როგორც გამოჩნდა, ამ მოდელმა გაამართლა. პეტერბურგელთა გასახარად, სიომინმა თავდასხმაში „ზენიტის" შემტევები, ანდრეი არშავინი და ალექსანდრ კერჟაკოვი გაამწესა, მეორე ტაიმში კი მათ თანაგუნდელი ვლადიმირ ბისტროვი შეაშველა. ხოლო ალდონინი ბისტროვით იმიტომ შეცვალა, რომ პირველ ტაიმში რუსებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ გატეხეს ლატვიელთა მწყობრი დაცვა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი სულაც აირივნენ და მარის ვერპაკოვსკისს რომ ევარგა, ბალტიელები დაწინაურდებოდნენ.

ბისტროვი მოედანზე ერთი წუთის შესული იყო, რუსებმა რომ გაიტანეს. მართალია, პეტერბურგელს ამ გოლში წილი არ უდევს, სამაგიეროდ, მისმა ზენიტელმა თანაგუნდელებმა გამოიდეს თავი — კერჟაკოვმა არშავინი მეკარე პიედელს პირისპირ შეჰყარა, არშავინმაც ივარგა და გასატანი გაიტანა. გულმოცემული მასპინძლები შეტევებს განაგრძობდნენ და ამ საქმეში კვლავ ბისტროვი ყოჩობდა. სწორედ ის წააქცია ლატვიელთა მეკარემ საჯარიმოში და მსაჯმაც არ დაახანა — პენალტი დანიშნა. დმიტრი ლოსკოვის დარტყმას პიედელსმა ვერაფერი მოუხერხა.

ამის მერე ლატვიელებმა აკინფეევის კარისკენ კი გაიწიეს, სახიფათო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნებაზე მოთამაშე რუსებს ვეღარაფერი დააკლეს. ვერაფერი დააკლეს ლატვიელებმა ცოფიან რუს ფანებსაც. ლატვიის ფეხბურთის ასოციაციის თანამშრომელმა კრისვანის კავნისმა ნამატჩევს დაიჩივლა, პიტერელი მაყურებელი წითელ დროშებს გვიფრიალებდა, ფაშისტებს გვეძახდა, სტადიონზე შემოსვლისას კი რამდენიმე შეზარხოშებული მუჯლუგუნითაც გაგვიმასპინძლდაო.

სოსო კოტორეიშვილი

AFP სანკტ პეტერბურგიდან

ლატვიელებმა რუსები საკმაოდ ანერვიულეს

AFP ლისაბონიდან

არის! — პორტუგალიელებმა სლოვაკებთან ანგარიში ასე გახსნეს

ფიგუს დაბრუნება ბლატერის სტუმრობით

პორტუგალია 2:0 სლოვაკეთი

1:0 მეირა (22), 2:0 კ. რონალდო (42)

პორტუგალია: რიკარდუ, ფ. მეირა, ჟორჟე ანდრადე, მ. კანეირა, ალეშ კოშტა, მანიშე, პეტიტი, ფიგუ, დეკო (ტიაგუ 88), კ. რონალდო (კვარესმა 76), პაულეტა (პოშტიგა 77)

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

სლოვაკეთი: ჩენტოფალსკი, კარპანი, ვარგა, პეტრაში, ზაბავნიკი, ჰადი, ჰლინკა, ჰანეკი (კისელი 63), მინტალი (სლოვაკი 59), ნემეტი (ვიტეკი 59), იაკუბკო

მწვრთნელი: დუშან გალიში

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

50 000 მაყურებელი

ლუიშ ფიგუმ კვლავ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა და ნაკრებში მობრუნებულს, ლისაბონის „ლუჟზე" შეკრებილი 60 ათასი ქომაგის გოლით გახარებაც შეეძლო, მაგრამ დიდმა ლუიშმა მარკუ კანეირას კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს უხეიროდ დაჰკრა. ამ დროისთვის კი პორტუგალიელები 1:0 უგებდნენ სლოვაკებს. 21-ე წუთზე დეკოს კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი პედრუ პაულეტამ თავით ფერნანდუ მეირას დაუგდო და ამ უკანასკნელმაც ახლო მანძილიდან შანსი არ დაუტოვა სტუმართა მეკარე ჩენტოფალსკის. ხუთიოდ წუთით ადრე კი დაწინაურებმა სლოვაკებს შეეძლოთ — ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი მარეკ მინტალი პორტუგალიელთა მეკარე რიკარდუს პირისპირ შეეყარა, თუმც ვერ აჯობა და რეალური შანსი ქარს გატანა.

პირველი ტაიმის დასრულებას სამიოდ წუთი აკლდა, როცა კრისტიანო რონალდომ 25 მეტრიდან ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო — ბურთი ჩენტოფალსკის კარის ცხრიანში შეჭედა. მეორე ნახევარში სლოვაკები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ პორტუგალიელებმა ბურთი არ დაუთმეს და „ლუჟზე" ნასტუმრები ფიფას პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის თვალწინ ის სამი ქულა მიითვალეს, რომლის წყალობითაც მესამე ჯგუფის უდავო ლიდერებად შეიქნენ.

სოსო კოტორეიშვილი

ესტონეთი 2:0 ლიხტენშტაინი

1:0 ა. სტეპანოვი (27), 2:0 ოპერი (57)

პორტუგალია	7	5	2	0	23:4	17
სლოვაკეთი	7	4	2	1	18:7	14
რუსეთი	7	4	2	1	15:10	14
ესტონეთი	8	3	2	3	12:14	11
ლატვია	7	3	1	3	14:14	10
ლიხტენშტაინი	7	1	1	5	9:18	4
ლუქსემბურგი	7	0	0	7	4:28	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

AFP ოსლოდან

იტალიელთა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა სიტყვა შეასრულა, ოსლოში გოლი არ გაუშვა

ფრე იტალიელთა წარმატებაა

V ჯგუფი

ნორვეგია 0:0 იტალია

ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ლუნდეკვამი, რიისე, ჰეგენი, ანდრესენი, სოლი, კარეუ, ჰესტადი, მ. პედერსენი (კარადასი 71), ივერსენი (ფ. იონსენი 83)

მწვრთნელი: აგე ჰარეიდე

იტალია: ბუფონი, ბონერა, კანავარო, მატერაცი, ძამბროტა, კამორანეზი, პირლო, დე როსი, გროსო (დიანა 79), კასანო (იაკინტა 69), ვიერი (ტონი 57)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

მსაჯი: მანულ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

24 829 მაყურებელი

მარჩელო ლიპის იტალია ნორვეგიაში ნათამაშევი 0:0-ის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპთან უკვე სასიამოვნოდ ახლოსაა, ხოლო მწვრთნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სასურველ შედეგს წამყვან ფეხბურთელთა კარგა დიდი ჯგუფის არყოფნაში მიაღწია. კერძოდ, ლიპის თავად ეყო გამბედაობა და ოსლოში სათამაშოდ არ მიიწვია ფრანჩესკო ტოტი, არ ითამაშა ალესანდრო დელ პიეროც, დისკვალიფიკაცია ჰქონდა ჯენარო გატუზოს, დაშავდა ალბერტო ჯილარდინო და ოჯახური პრობლემის გამო ვერ ითამაშა ალესანდრო ნესტამ.

ასე და ამგვარად, იტალიის ნაკრების ავანგარდში შეიქმნა თავდასხმის ახალი წყვილი, კრისტიან ვიერისა და ანტონიო კასანოს სახით. გარდა ამისა, მარცხენა მცველის პოზიცია დაიკავა პალერმოელმა ფაბიო გროსომ, რითაც ჯანლუკა ძამბროტას ნახევარდაცვაში გადასვლის და თავდასხმაზე მეტი ფიქრის საშუალება მიეცა. რაც შეეხებათ ნორვეგიელებს, მათ, როგორც მოსალოდნელი იყო, ითამაშეს იტალიურ ფეხბურთში ჭიპმოჭრილი იონ კარეუ, რომელსაც „რომაში" რამდენიმე სეზონი აქვს გატარებული.

დავძინოთ ისიც, რომ ოსლოში 4 ივნისი გვარიანად წვიმიანი დღე გამოდგა.

„ძალიან საჭირო ფრე იყო. ეს 0:0 ხელს გვაძლევდა — განაცხადა მატჩის შემდეგ ლიპიმ — ჯგუფში ლიდერობა და უპირატესობა შევინარჩუნეთ, ხოლო კონკრეტულად ამ მატჩში ფრე შესაძლოა, ბევრ გამარჯვებაზე მნიშვნელოვანიც იყო."

ლიპის მოწონებულმა ფრემ ნორვეგიელებს მეორე ადგილი შეუნარჩუნა, თუმცა იქვეა სლოვენიაც, რომელმაც ბელარუსში ითამაშა 1:1.

„დღეს ჩემი გუნდი ძალიან თავდადებული იყო, წინ ორი თუ სამი სახიფათო მომენტი შექმნა, ხოლო დაცვაში ძალიან დიდი ყურადღება გამოიჩინა. მოკლედ, ოსლოში სტუმრობა სახიფათო იყო, ჩვენი წაგება ნორვეგიელებს წარმოუდგენელ უპირატესობას მისცემდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მასპინძლებმა თამაშის გაკონტროლება და თავისი სტილის ჩვენთვის თავს მოხვევა სცადეს, მაგრამ მათ წინააღმდეგობა შედეგზე ძლიერ კონცენტრირებულმა გუნდმა გაუწია."

და მაინც, ლიპი ვერ ასცდა კრიტიკას: დელ პიეროსა და ტოტის დატოვება „იუვენტუსის" ყოფილ მწვრთნელს შემოქმედებითი ფეხბურთისთვის ზურგის შექცევად ჩაუთვალეს და პასუხი მოსთხოვეს.

„ამ მატჩისადმი სულაც არ მქონდა მუშური დამოკიდებულება, პირიქით, თუ დააკვირდით, ტალახიანი მოედნის მიუხედავად, ბურთის ფეხში გათამაშებას ვცდილობდით" — განმარტა ლიპიმ, ბოლოს კი დასძინა, რომ უპირატესობის მიუხედავად, თავს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასულად სულაც არ გრძნობს და არ ავიწყდება, რომ შესარჩევი ციკლის ბოლომდე მის გუნდს ჯერ კიდევ ოთხი თამაში აქვს ჩასატარებელი.

პაპუნა კედია

შოტლანდია 2:0 მოლდოვა

1:0 დეილი (53), 2:0 მაკფადენი (89)

ბელარუსი 1:1 სლოვენია

0:1 ნ. ჩეჩი (16), 1:1 ბელკევიჩი (19)

იტალია	6	4	1	1	9:5	13
ნორვეგია	6	2	3	1	6:3	9
სლოვენია	6	2	3	1	6:5	9
ბელარუსი	5	1	3	1	10:7	6
შოტლანდია	5	1	2	2	3:4	5
მოლდოვა	6	0	2	4	1:11	2

IV ჯგუფი

ფარერები 1:3 შვეიცარია

0:1 ვიკი (25), 1:1 იაკობსენი (70), 1:2, 1:3 ა. ფრეი (73, 86)

ირლანდია 2:2 ისრაელი

1:0 ბარტი (6), 2:0 რობი კინი (11), 2:1 იეჰილი (39), 2:2 ნიმნი (45ბ)

შვეიცარია	6	3	3	0	13:4	12
ისრაელი	7	2	5	0	10:8	11
ირლანდია	6	2	4	0	9:4	10
საფრანგეთი	6	2	4	0	5:1	10
კვიპროსი	6	0	1	5	4:12	1
ფარერები	5	0	1	4	3:15	1

VI ჯგუფი

აზერბაიჯანი 0:3 პოლონეთი

0:1 ფრანკოვსკი (28), 0:2 ტ. კლოსი (57), 0:3 მ. ჟურავსკი (79)

პოლონეთი	7	6	0	1	22:5	18
ინგლისი	6	5	1	0	13:3	16
ავსტრია	6	3	2	1	11:8	11
ჩრდ. ირლანდია	6	0	3	3	5:13	3
უელსი	6	0	2	4	5:11	2
აზერბაიჯანი	7	0	2	5	1:17	2

ბულგარეთი მომავლის იმედად

VIII ჯგუფი

ბულგარეთი 1:3 ხორვატია

0:1 ბაბიჩი (18), 0:2 ტუდორი (57), 1:2 ს. პეტროვი (72), 1:3 კრანჩარი (80)

ბულგარეთი: იანკოვი, ვ. ილიევი, კირილოვი, სტოიანოვი, კიშიშევი (ლაზაროვი 55), გეორგიევი, ს. პეტროვი, იანკოვი, მ. პეტროვი, გ. ივანოვი (ბოტინოვი 46), ბერბატოვი

მწვრთნელი: ხრისტო სტოიჩკოვი

ხორვატია: ბუტინა, ტომაში, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, ტუდორი, სრნა, ბაბიჩი, ნ. კოვაჩი, კრანჩარი (ლეკო 82), პრსო, ოლიჩი (ბალაბანი 90)

მწვრთნელი: ზლატკო კრანჩარი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

40 000 მაყურებელი

შვედეთი 6:0 მალტა

1:0 მ. იონსონი (6), 2:0 ა. სვენსონი (18), 3:0 ვილჰელმსონი (30), 4:0 იბრაჰ იმოვიჩი (40), 5:0 ლიუნგბერგი (57), 6:0 ელმანდერი (81)

ისლანდია 2:3 უნგრეთი

1:0 გუდიონსენი (18), 1:1, 1:2 გერა (45ბ, 56ბ), 2:2 სიგურდსონი (69), 2:3 ჰუშტი (73)

სოფიაში შეკრებილი 40 ათასი ქომაგი საკუთარი გუნდის წარმატებას ამაოდ ელოდა. მიუხედავად მხურვალე მხარდაჭერისა, ბულგარელებმა მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ლოგიკურად დამარცხდნენ.

ხორვატები დებიუტშივე დაწინაურდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას. მე-18 წუთზე ოლიჩ-კრანჩარის კომბინაციას ოლიჩის ძლიერი და ზუსტი დარტყმა მოჰყვა.

აქედან ცოტა ხანში ორი საგოლე შანსი ჰქონდა მასპინძელთა გამოკვეთილ ფორვარდ დიმიტარ ბერბატოვს, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ორჯერვე მცირე მანძილით ასცდა მეტოქის კარს.

მეორე ტაიმის დებიუტში კარგი შანსი გაანიავა დადო პრსომ, თუმცა ცოტა ხანში ოლიჩის პასით იგორ ტუდორმა იხეირა და თავისი გუნდი ორი ბურთის სხვაობით დააწინაურა.

მასპინძლებს მატჩის გადარჩენის იმედი 72-ე წუთზე ნაცვლახალი, ილიევსაც მარტინ პეტროვმა ნახევრად შეასრულა საგარიბო დარტყმა და სხვაობა შეამცირა. თუმცა შვიდ წუთში კრანჩარმა ძლეგხილი გარლვევა ზუსტი დარტყმით დაასრულა და შეხვედრას საბოლოო წერტილიც დაუსვა.

„ფეხბურთელებმა კარგად შეასრულეს ჩემი დავალება და ხანგრძლივად დამსახურებულად მოვიგეთ, ოღონდ ძალიან გამახარა" — თქვა სტუმრობა თავგადაკლმა ზლატკო კრანჩარმა.

ბულგარელთა თავგადაკლილი ხელმძღვანელი სტოიჩკოვი კი, რაღაცაც ჩახლა, საბოლოოდ შეეფერა ამას, რომ ბანი ვერ 2006 წლის მუნდიალზე კვალი ითამაშებს: „სამწუხაროდ, ისევ დაეცარცხდით, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ეტაპის მიმავალი ნამდვილად აქვს და თავდაუზოგავი შრომა უფრო გაგვიტანია. დაბრუნდა მატჩებში ახალგაზრდებს უფრო მეტ შანსს მივცემ"

ჰარალელურად შეკვლამ ბალეგა არ დაინდეს და მეტოქის კარი ექვსჯერ ადგეს. სკანდინავიელები ბელგიელებს ბურთში მიჰყვებიან ხორვატების ყველაფერი, ალბათ, ამ ეტაპის ურიოიერიმეხეკლრაში გადაწყვეტა.

უნგრელებმა კი დაბალი ბრძოლაში სტუმრად მოუგეს ისლანდიას და გერმანიაში მოხვედრის თეორიული შანსი შეინარჩუნეს.

გიორგი კაკაბაძე

ხორვატია	6	5	1	0	16:3	16
შვედეთი	6	5	0	1	23:2	15
უნგრეთი	6	3	1	2	9:11	10
ბულგარეთი	6	2	2	2	11:11	8
ისლანდია	6	0	1	5	6:17	1
მალტა	6	0	1	5	1:22	1

AFP სოფიიდან

ხორვატთა სიხარული დიდია, ისინი გერმანიის საგზურს მიუახლოვდნენ

რეკლამა
სარგიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

VII ჯგუფი

ესპანეთი 1:0 ლიტვა

1:0 ლუკე (69)

ესპანეთი: კასილიასი, მარჩენა, სალგადო, პუიოლი, დელ ორნო (ლუის გარსია 61), ალბელდა, ხავი, ვისენტე, ხოკინი, ფ. ტორესი (ლუკე 56), რაული (სერხიო რამოსი 75)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

ლიტვა: კარჩემარსკასი, ჯიაუკშტასი, შკერლა, ეკირგედაუსკასი, პაულაუსკასი, ბარასა, კუცისი (ე. ჩესნაუსკისი 73), დ. ჩესნაუსკისი (მიკალაიუნასი 73), დანილევიჩუსი, პოშკუსი (პრეიკშტაიტისი 46), მორინასი

მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

26 000 მაყურებელი

AFP ფოტოსურათიდან

ესპანელთა მთავარი ფორვარდები, ფერნანდო ტორესი (№9) და რაული რიგიანად ვერ გაისარჯნენ

მხსნელი კასილიასი

ლიტვა კი დავამარცხეთ, მაგრამ თუ ხვალ და ზეგ ბრაზილიასა და ინგლისს ასე ვეთამაშეთ, პრობლემები არ აგვცდებაო, აცხადებდა თამაშის შემდეგ შეშფოთებული ესპანური მედია.

და მართლაც — შაბათ საღამოს ვალენსიურ „მესტალიაზე“ ლიტვის ნაკრებმა კლასით მასზე გაცილებით მაღლა მდგომ ესპანეთის შეუპოვარი წინააღმდეგობა ვაუწია და მატჩის მიწურულს იკერ კასილიასის ყოფნობა რომ არა, კინძლო შეხვედრა ფრედაც დასრულებულიყო — ესპანეთმა ალბერტ ლუკეს მიერ მეორე ტაიმში გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვა.

მატჩი, როგორ ნავარაუდევი იყო, მასპინძელთა მძლავრი იერიშებით დაიწყო, ოღონდ გოლსმოწყურებული სამხრეთელები ჩრდილოელთა დაცვას ვერაფერს უბერხებდნენ. ლიტვამ ესპანეთს მოედნის ცენტრში მეტ-ნაკლებად თავისუფალი გადაადგილების საშუალება მისცა, მაგრამ ფლანგები მტკიცედ ჩაკეტა და არაგონესის შეგირდებმაც „მესტალიაზე“ შეკრებილ ინჩასობას პირველ ტაიმში თავი ვერაფრით დაამახსოვრეს. თავდასხმაში რაულსა და ფერნანდო ტორესს ჩვეული ეფექტურობით არ უთამაშიათ — „რეალისა“ და ნაკრების კაპიტანი დაბნეული ჩანდა, ხოლო ატლეტიკოელმა რამდენიმე საგოლე ეპიზოდი ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმში მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა, როცა არაგონესმა ტორესის ნაცვლად 58-ე წუთზე ალბერტ ლუკე შეუშვა მინდორზე. შეუშვა და მოსახდენიც მოხდა — 69-ე წუთზე, საჯარიმო მოედნამდე არმისულმა ლუკემ უძლიერესად დაარტყა და „მესტალიას“ ტაბლოზეც 1:0 აინთო.

დაწინაურებამ ესპანეთს გოლის გატანის სურვილი კიდევ უფრო გაუორმაგა, თუმც არაგონესის ბიჭებს ლიტველთა კარის მეორედ აღება არ ეწერათ. ის კი არა, მატჩის ბოლოს, სტუმართა საჩიფაოო კონტრშეტევისას იკერ კასილიასმა ისეთი ბურთი მოიგერია, რომ ინჩასებს სულ „კასილიას მხსნელო“ აყვირებინა.

„რთული მატჩი იყო. ვაღიარებ, რომ ლიტვა უხერხული მეტოქე გამოდგა, თუმც ბიჭებმა თავიანთი მისია — სამი ქულის მოპოვება — წარმატებით შეასრულეს“ — განაცხადა ლუის არაგონესმა ნამატჩევს.

ლადო ხომერიკი

უხალისო 0:0

სერბეთი 0:0 ბელგია

სერბეთი: ჟევრიჩი, დრაგუტინოვიჩი, კრსტაიჩი, გავრანჩიჩი, ლუკიჩი, ვიდიჩი, დულიაი, კორომანი (ვუკჩევიჩი 81), სტანკოვიჩი (მლადენოვიჩი 82), ლიუბოია, იესტროვიჩი (ვუჩინიჩი 53)

მწვრთნელი: ილია პეტკოვიჩი

ბელგია: პროტო, ვან ბუიტენი, კლემანი, ვანდენ ბორე, დეშახტი, ვანდერეგე, ბისკონტი, ბუფელი (პიერონი 88) დაერდენი (ლეონარი 79), ე. მპენზა, მ. მპენზა (ვან დენ ბერგი 83)

მწვრთნელი: ემე ანტუნესი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

27 000 მაყურებელი

AFP ბელგრადიდან

გოლიაო, ირწმუნება სერბი ზვონიმირ ვუკიჩი (№8), მაგრამ გოლი რომ არ ყოფილა, ოქმიდანაც ნათლად ჩანს

ამ მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა რომ ჰქონდა, თავადაც კარგად მოველოდნენ. საბოლოო შედეგი კი არც ერთი მათგანისთვის გამოდგა სასურველი.

პირველმა წუთებმა მასპინძლების უპირატესობაში განვლო. წესით, მე-4 წუთზეკვე ანგარიში 1:0 უნდა გამხდარიყო, მაგრამ ბელგიელთა მეკარესთან პირისპირ გასულმა ნენად იესტროვიჩმა თავისი შანსი ვერ გამოიყენა. თუმც გარეკას ნურც მეკარე პროტოს დავუკარგავთ, რომელმაც ამ ეპიზოდში ჩინებულად ითამაშა.

ცოტა ხანში კლანჭები სტუმრებმაც გამოაჩინეს — დანიელ ვან ბუიტენმა მოულოდნელად დაარტყა და სულ ცოტა დააკლდა მიზნის მიღწევამდე. ტაიმის მიწურულს კი კვლავ სერბები გააქტიურდნენ. მათ ერთი ძალიან სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ ამჯერად დანიელ ლიუბოიამ ვერ ივარგა.

შეხვედრის მეორე ნახევარი ფაქტობრივად, ანალოგიური სცენარით ჩაიარა. მასპინძლები უფრო უკეთ ბურთაობდნენ და მეტ სახიფათო მომენტს ქმნიდნენ, მაგრამ ამაოდ...

განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ ზვონიმირ ვუკიჩის თავური, რომელიც პროტომ ბრწყინვალე ნახტომში მიიგერია. თავისი შანსი მიეცა სტუმართა ფორვარდ მბო მპენზასაც, მაგრამ მან საკმაოდ ახლო მანძილიდან ბურთი მეტოქის კარს გვერდით გადააკლა.

სერბთა რიგებში სერია A-სა და „ლეჩეს“ ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის, მირკო ვუჩინიჩის შორეული დარტყმა ბელგიელთა კარის ძელს მოხვდა.

მართალია, ბელგიელებს ამ მატჩის შემდეგ მუნდიალზე მოხვედრის მიზერული შანსებიღა დარჩათ, მაგრამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ფრით მთლად უკმაყოფილონი მაინც არ უნდა იყვნენ. ვთქვათ ისიც, რომ სერბთა გოლკიპერი დრაგოსლავ ჟევრიჩი უკვე 637 წუთია, საკუთარი კარის მშრალად შენახვას ახერხებს.

ჯგუფის მესამე მატჩში ბოსნიელებმა საკმაოდ იოლად სძლიეს სან მარინოს და, ბელგიელთა დარად, ლიდერებში გარეკის მიზერულ შანსებს ინარჩუნებენ. განსაკუთრებულად ჰასან სალიჰამიჯიჩი უნდა გამოვარჩითო, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ორი გოლი გაიტანა, მთელი შეხვედრა ჩინებულად ჩატარდა.

გიორგი ბაბაბაძე

სან მარინო 1:3 ბოსნია

0:1, 0:2 სალიჰამიჯიჩი (17, 40), 1:2 სელვა (41), 1:3 ბარბარესი (75)

სერბეთი	6	3	3	0	10:0	12
ესპანეთი	6	3	3	0	9:1	12
ლიტვა	6	2	3	1	7:3	9
ბელგია	6	2	2	2	7:7	8
ბოსნია	5	1	3	1	6:7	6
სან მარინო	7	0	0	7	2:23	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

XIV ტური

ეკვადორი 2:0 არგენტინა
1:0 ლარა (54), 2:0 დელგადო (90)
ვენესუელა 1:1 ურუგვაი
0:1 ფორლანი (2), 1:1 მალდონადო (73)
კოლუმბია 5:0 პერუ
1:0 რეი (30), 2:0 სოტო (55), 3:0 ანხელი (57), 4:0 რესტრეპო (76), 5:0 პერეა (79)
ჩილე 3:1 ბოლივია
1:0, 2:0 ფუენტესი (8, 35), 3:0 სალასი (67), 3:1 კასტილიო (83)

ვინ დგას მყარად მინაზე?

სუარესი არგენტინამ ხატოვნად აქცია

AFP კიტოდან

არგენტინელებმა ეკვადორელებთან ვერაფერი გააწყეს

მიმოხილვა მთავარით დავიწყოთ: არგენტინა დამარცხდა და დაგვეთანხმებით, ამ დიდი საფეხბურთო ქვეყნის მარცხს ჩვეულებრივ ამბავს ვერ ვუწოდებთ.

თუმცა აქ ორი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი, რომლებიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის წაგების მიზეზთა ახსნაში შეიძლება დაგვეხმაროს. ერთი, რომ არგენტინას თავი ქუდში აქვს და მთელი თერთმეტი ქულით უსწრებს მეხუთეადგილოსან კოლუმბიას — მოგეხსენებათ. სამხრეთ ამერიკიდან გერმანიის მუნდიალზე ოთხი საუკეთესო გუნდი ყოველგვარი გადათამაშების გარეშე გაემგზავრება. მეორე ახსნა კი ეკვადორთან მატჩის ადგილია — კიტოში, რამდენჯერ გვითქვამს, ჰაერი ისეა გაიშვიათებული, იქაურთა გარდა თამაში ყველას უჭირს.

არგენტინელებს გოლები კრისტიან ლარამ და აუგუსტინ დელგადომ გაუტანეს, ნამატჩევს კი გამარჯვებულთა მწვრთნელმა ლუის სუარესმა თქვა: „ჩვენ მყარად ვდგევართ მიწაზე, თუმცა ჩვენი სიხარული მეცხრე ცას სწვდება“. ამ ხატოვანი გამონათქვამის მერე სუარესმა ცხრილზეც ილაპარაკა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ჯერ არ გაგვინაღდება. წინ უმძიმესი მატჩები გველის“.

ხოლო ხოსე პეკერინმა, ვინც მოგეხსენებათ არგენტინელთა მწვრთნელია, თქვა: „მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ. მათთვის ამ სამ ქულას, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ვფიქრობ, თამაში პირველ გოლამდე იყო. ვინც ანგარიშს გახსნიდა, მატჩსაც ის მოიგებდა“.

და ერთიც: მომდევნო ტურში არგენტინა ბრაზილიას ხვდება და ესტებან კამბიასო არ ეყოლება. ის მსაჯის მიერ დამატებულ დროში გააძევეს.

სადაც არგენტინის თამაშზე ვყვებით, იქ ყოველთვის ბრაზილიის მატჩსაც ვახსენებთ—ხოლმე, მაგრამ პენტაკამპეონთა პარაგვაისთან მატჩი დღეს გამთენიისას დასრულდა და ცხადია, მის მსვლელობაზე აქ ვერაფერს მოგახსენებთ.

ცხრილის ქვედა ნაწილში კი ვითარება ერთობ დაძაბულია და არავინაა ისეთი, თუნდაც მეხუთე ადგილზე გასვლის და პლეი ოფში მოხვედრის რეალური შანსი აღარ ჰქონდეს.

ჩამორჩენილ გუნდებს შორის კი ამ ტურის მერე კოლუმბია დაწინაურდა და მეხუთე ადგილი [illegible] მას უპყრია — კოლუმბიამ [illegible] გადაუარა.

რეინალდო რუედა, [illegible] ლთა მწვრთნელი: „დღ[illegible] ბიჯი გადავდგით, მაგრამ [illegible] არ შეიძლება“.

ცხადია, 5:0 გამანადგურებელი [illegible] გარიშია, მაგრამ ის უფრო [illegible] იქნებოდა, მარიო იეპესს [illegible] რომ არ გაეფუჭებინა.

პერუ კი ზედიზედ მესამე [illegible] შია, მოგებას ვერ ახერხებს [illegible] გაჭირვებას ხოსე ხაიოს [illegible] ბაც ამძიმებს. პერუელთა ახალ მწვრთნელ ფერედი ტერნერის [illegible] ბოდიშის მოსახდელადაც, [illegible] „ჩვენ გულშემატკივრებისა [illegible] ხვნილებები ვართ. უამრავი [illegible] ებელი შეცდომა დაუშვეს [illegible] ნელი დებიუტი მქონდა, [illegible] ამს, ჩვენ ჯერაც შეგვიწყვეტ [illegible] რების გამოსწორების უნარი“.

ამასობაში ურუგვაის, [illegible] წინა ტურებში, ბრაზილიასთან [illegible] ჩილესთან ქულები წა[illegible] დაეკარგა, ვერც ახლა [illegible] საგები მატჩი [illegible] ზე გაეყარა. ქულების [illegible] ვენესუელებმა ამ მატჩში [illegible] ოცოც დაკარგეს [illegible]

ურუგვაი მეორე წუთიდ[illegible] ჯერდა დიეგო ფორლანის [illegible] რის მერეც ვენესუელელებ[illegible] ძოლეს და 73-ე წუთზე [illegible] ალდონადოს შორეული [illegible] ქულა გადაარჩინეს.

ეგ კი არა, ნამატჩევს [illegible] ლელთა მწვრთნელი [illegible] ნი იქით წუხდა, ფრე[illegible] ნი შედეგი არ არის, [illegible] სახურებდითო: „ძეთრე [illegible] ნი იყო. სამწუხაროა, [illegible] გოლი გავუშვით, [illegible] მები შეგვიქმნა“.

ჩილემ ბოლივიას ხმლი [illegible] გამოსარჩევი მარსელი [illegible] გოლია — სალასს [illegible] წელი არ გაეტანა და [illegible] 34-ე გოლით, ჩილელთა [illegible] თის მთავარმეგოლეს [illegible] ძმაკაცს ივან სამორანს [illegible]

ამ მატჩში უსიამოვნო [illegible] ტიც მოხდა — ჩილელმა [illegible] დმა სებასტიან გონსალესს [illegible] ქის მცველს რონალდ [illegible] ჩასცხო, მოედანი [illegible] დამრტყმელი წითელი [illegible] ნარტყმელმა კი [illegible] ტრაკის [illegible] მო.

AFP სანტიაგოდან

ჩილელმა ესტებან ფუერტესმა (№22) ბოლივიელებს ორი გოლი გაუტანა

კოტე კეკელია

ბრაზილია — პარაგვაი

წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

არგენტინა	14	8	4	2	24:14	28
ბრაზილია	13	6	6	1	21:12	24
ეკვადორი	14	7	2	5	21:15	23
პარაგვაი	13	5	4	4	16:17	19
კოლუმბია	14	4	5	5	17:12	17
ჩილე	14	4	5	5	15:15	17
ურუგვაი	14	4	5	5	19:26	17
ვენესუელა	14	4	3	7	15:21	15
პერუ	14	3	5	6	13:19	14
ბოლივია	14	4	1	9	16:26	13

ამხანაგური მატჩი

გერმანელებმა ბელფასტის მინდორზე იბალაკეს

ჩრდ. ირლანდია 1:4 გერმანია

1:0 ჰილი (15პ), 1:1 ასამოა (17'), 1:2, 1:3 ბალაკი (62, 66), 1:4 პოდოლსკი (82)

ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი (ინგემი 77), კლაიდი, ბერდი, კრეიგანი (ბრანტი 77), მაკკარტნი, გილესპი (მაკკილი 70), დ. ჯონსონი, ს. დევისი, ს. ჯონსი (ფინი 67), ელიოტი (კირკი 67), ჰილი (ა. სმიტი 77)

მწვრთნელი: ლორი სანჩესი

გერმანია: ლემანი, ოვომოიელა, ჰუთი, მერტესაკერი, ჰიცლშპერგერი, ფრინგსი, ბ. შნაიდერი (დაის ლერი 46), ფ. ერნსტი, ბალაკი (ბოროვსკი 73), ასამოა (შვაინსტაიგერი 46), კურანი (პოდოლსკი 63)

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

გაძევება: ჰუთი (15)

მსაჯი: მაიკლ რიჩმონდი

14 800 მაყურებელი

საკმაოდ ემოციური ამხანაგობა გამოუცდათ ბელფასტში შეკეთებულ ნიდეფლიორლანდიელ და გერმანელ ფეხბურთელებს — მიელანზე ალი კიეთ დარჩენილმა გერმანელებმა მასპინძლებს 4:1 ავლიბეს — ითიხა გილიდან ორი მიხაელ ბალაკმა გაიტანა.

მსოფლიოს ნაგალი ჩემპიონატის მასპინძლებს ფეხბურთელი მატჩის დასაწყისშივე, მე-15 წუთზე გაუგდეს. ეს ფეხბურთელი გახლავთ რობერტ ჰუთი, რომელმაც კეიტ გილესპის დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან ხელით გამოიტანა. სწორედ ამ ეპიზოდის გამო დაწინაურდა ჩრდილოეთ ირლანდია. პენალტი კი დევიდ ჰილმა შეაგდო.

მაგრამ გავიდა ორად ორი წუთი და ჯერალდ ასამომ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მეორე ნახევარში ბალაკმა ჯერ თავით შეაგდო მასპინძელთა კარში, შემდეგ კი პენალტით გაიტანა მეორე.

გერმანელთა მეოთხე გოლი შეაგდო ლუკაშ პოდოლსკიმ, რომელიც გუშინვე 20 წლისა მოიყარა.

ახლა, კონფედერაციის თასამდე გერმანიის ნაკრებს კიდევ ერთი ამხანაგური თამაში ელის, ოთხშაბათს რუსეთთან. შეგახსენებთ, რომ კონფედერაციის თასი, რომელიც გერმანიაში ტარდება, იურგენ კლინსმანის გუნდისთვის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთადერთი შეჯიბრებაა.

პაპუნა კედია

არის, ვან დერ სარი!

ფერგიუსონის მეკარეთა ეგზოტიკური სია გრძელდება

სატრანსფერო თანხა უცნობია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ცნობილი ჰოლანდიელი მეკარე ედვინ ვან დერ სარი გუშინ „უულვერჰემფტონ“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავ და. ახლა ჯერი სამედიცინო შემოწმებაზეა და თუ ყველაფერი კარგად ნაიელის, ვან დერ სარი ორი წლით „ოლდ ტრეფფორდზე“ ითამაშებს. ჰოლანდიელი მანჩესტერში 1 ივლისს ჩავა.

რიო კეროლის გაშვების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მეკარეს ეძებდა და 35 წლის გოლკიპერს მიაგნო კიდეც.

ედვინ ვან დერ სარს ჰოლანდიის ნაკრებში 95 მატჩი აქვს ჩატარებული. ინგლისში, კერძოდ კი „ფულჰემში“ 2001 წელს მოხვდა. ლონდონელებმა იგი ტურინის „იუვენტუსისგან“ 5 მილიონ გირვანქად იყიდეს და მანაც იმედი არ გაუცრუა — „ანლეხების“ შემადგენლობაში 153 შეხვედრა ჩაატარა.

ვან დერ სარის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე ინვარმიც ლაპარაკობდნენ, მაგრამ მაშინ ფეხბურთელმა „ფულჰემთან“ 2006 წლამდე ამოწობინა კონტრაქტის გაგრძელება. ახლა, როგორც ხედავთ, კითარება შეიცვალა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლანდიელი მეკარე „იუნაიტედის“ პირველი შენაძენია მას მერე, რაც კლუბი ამერიკელმა მილიარდელმა მალკოლმ გლეიზერმა იყიდა. სავარაუდოდ, ედვინ ვან დერ სარი გუნდთან ერთად გაეშურება ივლისში დაგეგმილ ტურნეზე, რომლის დროსაც ტრადიციისამებრ მანჩესტერელები შორეულ აზიას მოივლიან.

ასე და ამგვარად, ედვინ ვან დერ სარი შეემატა მეკარეთა იმ საკმაოდ კოლორიტულ სიას, რომელშიც 1999 წლის შემდეგ ალექს ფერგიუსონის ნებასურვილისა და გემოვნების შესაბამისად შედიან: მარკ ბოსნიჩი, მასიმო ტაიბი, რაიმონდ ვან დერ გოუ, ფაბიენ ბარტეზი, რიკარდო ლოპესი და ზემოხსენებული კეროლი.

რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედის“ კიდევ ერთ გოლკიპერს, ამერიკელ ტომ ჰოვარდს, მან კლუბთან 2009 წლის მაისამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი.

პაპუნა კედია

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის უსარგებლო მატჩი. აფრიკა

I ჯგუფი. VII ტური

კონგო 0:0 სენეგალი

ტოგო 4:1 ზამბია

მალი 4:1 ლიბერია

ტოგო	7	5	1	1	12:4	16
სენეგალი	7	4	2	1	15:6	14
ზამბია	7	4	1	2	9:8	13
კონგო	7	2	1	4	6:9	7
მალი	7	1	2	4	8:9	5
ლიბერია	7	1	1	5	3:17	4

II ჯგუფი. VII ტური

კაბო ვერდე 1:2 ს. აფრიკა

კონგოს დრ. 4:0 უგანდა

განა 2:1 ბურკინა ფასო

ს. აფრიკა	7	5	0	2	9:7	15
განა	7	3	3	1	9:4	12
კონგოს დრ.	7	3	3	1	10:5	12
კაბო ვერდე	7	3	1	3	7:8	10
ბურკინა ფასო	7	2	0	5	7:10	6
უგანდა	7	1	1	5	3:11	4

III ჯგუფი. VII ტური

ლიბია 0:0 კოტ დივუარი

ბენინი 1:4 კამერუნი

ეგვიპტე 6:1 სუდანი

კოტ დივუარი	7	5	1	1	13:3	16
კამერუნი	7	4	2	1	13:7	14
ეგვიპტე	7	4	1	2	21:11	13
ლიბია	7	3	2	2	8:8	11
ბენინი	7	0	2	5	7:18	2
სუდანი	7	0	2	5	4:19	2

IV ჯგუფი. VII ტური

ზიმბაბვე 1:0 გაბონი

რუანდა 1:1 ნიგერია

ანგოლა 2:1 ალჟირი

ანგოლა	7	4	2	1	7:5	14
ნიგერია	7	4	2	1	10:3	14
ზიმბაბვე	7	3	2	2	7:6	11
გაბონი	7	1	3	3	8:10	6
ალჟირი	7	1	3	3	4:8	6
რუანდა	7	1	2	4	5:9	5

V ჯგუფი. VII ტური

მაროკო 4:1 მალავი

ბოტსვანა 1:3 ტუნისი

გვინეა 1:0 კენია

მაროკო	7	4	3	0	14:5	15
ტუნისი	6	3	2	1	18:7	11
გვინეა	7	3	2	2	10:6	11
კენია	6	3	0	3	8:11	9
ბოტსვანა	7	2	0	5	6:14	6
მალავი	7	0	3	4	7:20	3

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარგებლო მატჩი. აზია

I ჯგუფი. IV ტური

უზბეკეთი 1:1 სამხრეთ კორეა

საუდის არაბეთი 3:0 ძუვეითი

საუდის არაბეთი	4	2	2	0	6:1	8
სამხრეთ კორეა	4	2	1	1	5:4	7
ქუვეითი	4	1	1	2	2:6	4
უზბეკეთი	4	0	2	2	4:6	2

II ჯგუფი. IV ტური

ირანი 1:0 ჩრდილოეთ კორეა

ბაჰრეინი 0:1 იაპონია

ირანი	4	3	1	0	5:1	10
იაპონია	4	3	0	1	5:3	9
ბაჰრეინი	4	1	1	2	2:3	4
ჩრდ. კორეა	4	0	0	4	2:7	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარგებლო მატჩი. კონკაკაფი

IV ტური

ტრინიდადი 2:0 პანამა

აშშ 3:0 კოსტარიკა

გვატემალა 0:2 მექსიკა

მექსიკა	4	3	1	0	7:3	10
აშშ	4	3	0	1	8:3	7
გვატემალა	4	1	1	2	5:5	4
კოსტარიკა	4	1	1	2	2:6	4
ტრინიდადი	4	1	1	2	4:7	4
პანამა	4	0	2	2	2:5	2

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

I ჯგუფი

ჰოლანდია 2:0 რუმინეთი

სომხეთი 0:0 მაკედონია

რუმინეთი	7	4	0	3	14:8	12
ჩეხეთი	5	3	2	0	13:3	11
ჰოლანდია	6	3	2	1	8:3	11
მაკედონია	6	2	2	2	8:9	8
სომხეთი	7	1	2	4	1:14	5
ფინეთი	5	1	0	4	2:9	3

III ჯგუფი

რუსეთი 1:1 ლატვია

პორტუგალია 2:1 სლოვაკეთი

პორტუგალია	6	6	0	0	16:3	18
რუსეთი	6	4	1	1	17:4	13
სლოვაკეთი	6	3	0	3	7:8	9
ლატვია	6	2	2	2	7:8	8
ესტონეთი	6	0	2	4	1:13	2
ლუქსემბურგი	6	0	1	5	3:15	1

IV ჯგუფი

ირლანდია 2:2 ისრაელი

ისრაელი	7	4	2	1	11:7	14
საფრანგეთი	5	3	1	1	6:4	10
შვეიცარია	4	2	2	0	9:4	8
ირლანდია	5	1	1	3	8:10	4
კვიპროსი	5	0	0	5	0:9	0

V ჯგუფი

ბელარუსი 1:2 სლოვენია

ნორვეგია 1:0 იტალია

შოტლანდია 0:0 მოლდოვა

იტალია	6	5	0	1	10:2	15
ნორვეგია	6	3	1	2	8:6	10
სლოვენია	6	2	2	2	5:9	8
ბელარუსი	5	2	0	3	11:10	6
მოლდოვა	6	1	2	3	4:7	5
შოტლანდია	5	0	3	2	1:5	3

VI ჯგუფი

აზერბაიჯანი 1:1 პოლონეთი

ინგლისი	6	4	2	0	11:3	14
გერმანია	5	3	2	0	11:3	11
პოლონეთი	6	2	3	1	11:7	9
უელსი	6	2	1	3	4:10	7
ავსტრია	6	2	0	4	5:8	6
აზერბაიჯანი	7	0	2	5	1:12	2

VII ჯგუფი

სერბეთი 1:1 ბელგია

ესპანეთი 2:0 ლიტვა

სან მარინო 1:4 ბოსნია

ბელგია	6	4	2	0	16:4	14
სერბეთი	6	4	1	1	19:6	13
ესპანეთი	6	3	2	1	21:24	11
ლიტვა	6	2	1	3	5:9	7
ბოსნია	5	2	0	3	8:8	6
სან მარინო	7	0	0	7	2:40	0

VIII ჯგუფი

ბულგარეთი 2:1 ხორვატია

შვედეთი 6:0 მალტა

ისლანდია 0:1 უნგრეთი

ხორვატია	6	5	0	1	8:3	15
შვედეთი	6	4	0	2	12:7	12
უნგრეთი	6	4	0	2	6:3	12
ისლანდია	6	2	0	4	7:7	6
ბულგარეთი	6	2	0	4	6:9	6
მალტა	6	1	0	5	2:12	3

იტალია

სერია B. XXXIV ტური

კატანიკარი 1:1 ვერონა

1:0 ოტონელო (88), 1:1 ლუნიჩი (65)

ჩეზენა 2:0 ტერნანა

1:0 ამბორჯიონი (27), 2:0 პიკოლი (35)

ემპოლი 1:1 არეცო

1:0 კოდა (53), 1:1 კირიაზისი (62)

მოდენა 1:1 ტრევიზო

1:0 კამპედელი (84), 1:1 რეგინალდო (90)

პერუჯა 1:0 ტრიესტინა

1:0 მასკარა (2)

პესკარა 1:4 კროტონე

1:0 სბრიცი (7), 1:1 ვანტაგიატო (17), 1:2 ფუსკო (20ს.კ.), 1:3 პარო (55), 1:4 ჯულიანო (79)

პიაჩენცა 2:2 ჯენოა

1:0 პეპე (37), 1:1 სტელონე (62), 1:2 მ. როსი (79), 2:2 ვიკინო (85)

სალერნიტანა 2:1 ასკოლი

0:1 კოლაკონე (8), 1:1 პალადინო (47), 2:1 ძანიოლი (48)

ტორინო 3:1 ალბინოლეფე

0:1 რანტიერი (!), 1:1 კალიარელა (17), 2:1 კონტიკიო (45), 3:1 ბრუნო (86)

ვენეცია 1:1 კატანია

0:1 სერაფინი (3), 1:1 ლ. ანდერსონი (64)

ვიჩენცა 0:0 ბარი

ემპოლი	41	19	17	5	57:32	74
ჯენოა	41	18	19	4	69:42	73
პერუჯა	41	20	11	10	55:34	71
ტორინო	41	20	11	10	48:31	71
ტრევიზო	41	18	10	13	58:47	64
ასკოლი	41	16	11	14	50:52	59
მოდენა	41	16	14	11	47:36	58
ვერონა	41	14	16	11	59:48	58
პიაჩენცა	41	16	8	17	44:45	56
ალბინოლეფე	41	14	13	14	55:50	55
ტერნანა	41	13	15	13	48:52	54
ბარი	41	12	17	12	37:36	52
კატანია	41	12	16	13	40:44	52
სალერნიტანა	41	12	15	14	48:53	51
ჩეზენა	41	12	14	15	47:58	50
ვიჩენცა	41	12	13	16	59:63	49
არეცო	41	11	15	15	48:52	48
კროტონე	41	12	14	15	43:44	47
პესკარა	41	10	16	15	43:58	46
ტრიესტინა	41	11	12	18	40:54	45
ვენეცია	41	7	14	20	31:54	35
კატანიკარო	41	5	11	25	38:79	26

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. XL ტური

ხიმნასტიკი 1:0 ალავესი

1:0 ანია (88)

პონტევედრა 1:1 კადისი

0:1 ოლი (54), 1:1 იობო (64)

ელჩე 1:2 კორდობა

1:0 ნინო (22), 1:1 სელუ (26), 1:2 სერულო (78)

ვალიადოლიდი 2:1 პოლი ეხიდო

0:1 ვეგა (4), 1:1, 2:1 ადურიტსი (77, 90)

ტენერიფე 1:4 სალამანკა

1:0 რ. მარტინი (18), 1:1 ბრიტი (53პ), 1:2 ხაიმე (55), 1:3, 1:4 ბრიტი (60, 85)

ეიბარი 1:0 მურსია

1:0 კიფუ (20)

ლეიდა 2:3 უელვა

0:1 კასასი (4), 0:2 რიკეირა (24), 1:2 რუბენი (28), 2:2 კრუსატი (69), 2:3 კასასი (73პ)

ალმერია 1:0 სპორტინგი

1:0 ლუნა (23)

ტერასა 3:2 ფეროლი

1:0 კრისტიანი (15), 2:0, 3:0 ხ. კარლოსი (33პ, 46პ), 3:1 ა. მორენო (66), 3:2 გრანონი (82)

ხერესი 1:3 სელტა

0:1 კანობიო (11), 0:2 პერერა (13), 1:2 ნავარესი (41), 1:3 კანობიო (77)

სიუდად მურსია 0:0 მალაგა B

სელტა	40	22	10	8	55:34	76
ალავესი	40	22	7	11	59:44	73
კადისი	40	19	13	8	62:29	70
უელვა	40	19	12	9	43:27	69
ეიბარი	40	19	12	9	50:37	69
ვალიადოლიდი	40	17	9	14	51:51	60
ხიმნასტიკი	40	15	11	14	42:41	56
ტენერიფე	40	13	17	10	40:41	56
სპორტინგი	40	14	12	14	40:36	54
ელჩე	40	15	9	16	48:49	54
ხერესი	40	12	17	11	35:36	53
მურსია	40	14	9	17	39:51	51
ლეიდა	40	13	11	16	46:51	50
ფეროლი	40	12	12	16	53:51	48
პოლი ეხიდო	40	11	15	14	36:42	48
ალმერია	40	12	11	17	34:43	47
მალაგა B	40	12	11	17	31:48	47
სალამანკა	40	12	8	20	49:57	44
სიუდად მურსია	40	9	17	14	46:54	44
კორდობა	40	11	10	19	38:47	43
ტერასა	40	11	8	21	43:60	41
პონტევედრა	40	9	13	18	47:58	40

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		12 ივნისი						
20:00	64	ფრედრიქსტადი-ბოდიო გლიმტი	2.15	3.3	3.1	1.3	1.26	1.59
20:00	65	ლილესტრომი-ალესუნდი	1.5	4.0	5.8	1.09	1.19	2.36
20:00	66	ოდ გრენლანდი-ჰო�დე	2.3	3.3	2.75	1.35	1.25	1.5
20:00	67	როსენბორგი-პაპარი	1.35	5.0	6.5	1.06	1.11	2.82
20:00	68	სტარტი-ტრონჰეიმი	1.75	3.5	4.0	1.16	1.21	1.86
22:15	69	ლინი-ვოლერენგა	2.7	3.2	2.45	1.46	1.28	1.38
		13 ივნისი						
21:00	70	ვიკინგი-ბრანი	2.5	3.3	2.55	1.42	1.26	1.43
		შვედეთი. სუპერეტა						
		6 ივნისი						
18:00	86	�დენბერგარნა-ბოდენა	1.85	3.4	3.5	1.19	1.21	1.72
19:00	87	ბრანმალიგარნა-ყრიოლენდა	1.7	3.6	4.0	1.15	1.19	1.89
19:00	88	ნორშიოპინგი-ჰიალმა	1.45	3.9	5.8	1.05	1.15	2.33
19:00	89	ტრელეგბორგი-ალორეგრო	1.8	3.6	3.6	1.2	1.2	1.79
19:00	90	ვესტა-ლიუნგბული	2.0	3.4	3.3	1.25	1.24	1.67
19:00	91	ფალკენბერგი-ვესტერეოსი	1.9	3.4	3.5	1.21	1.23	1.72
21:00	92	ოდ-ორებროლიუნგი	1.6	3.7	4.9	1.11	1.2	2.1
		ირლანდია						
		6 ივნისი						
22:45	216	კორკი-ლერეშა	1.3	4.2	8.0	1.0	1.11	2.75

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები.						
		6 ივნისი						
23:00	217	საფრანგეთი-იტალია	1.9	3.2	3.5	1.19	[illegible]	[illegible]
21:00	218	გერმანია-ნორვეგია	1.65	3.5	4.7	1.12	1.22	2
		ესპანეთი. თასი						
		11 ივნისი						
23:00	193	ბელისი-ესპანეთი	2.15	3.1	3.2	1.26	1.28	[illegible]
		პოლონეთი. თასი						
		6 ივნისი						
21:30	194	ვისლა-ზაგლებე	1.5	3.9	4.8	1.08	1.1[illegible]	2.15
		შვედეთი. თასი						
		7 ივნისი						
21:00	195	იორგრიტე-ასარიესი	1.8	3.3	3.6	1.16	[illegible]	[illegible]
		ჰოლანდია. პლეი ოფი						
		6 ივნისი						
22:00	207	სპარტა-ზვოლე	1.25	4.6	9.[illegible]	1.0[illegible]	[illegible]	[illegible]
22:00	208	გრაფსხაფი-ჰელმონდი	2.45	3.5	2.3	1.1[illegible]	[illegible]	[illegible]
22:00	209	ტელსტარი-ვენლო	2.0	3.4	3.0	1.23	[illegible]	[illegible]
22:00	210	როტერდამი-ვოლენდამი	1.85	3.2	3.6	1.17	[illegible]	[illegible]
		კრივი						
		11 ივნისი						
23:45	219	ტაისონი ბ-ბაბრაიდი კ	1.07	26.0	6.5			

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" მეზობლად
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილ [illegible]
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის [illegible]
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

მესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ოლიმპიამ სლოვანი დაამარცხა

ბოისამ შმარკოიშვილოდ იმარჯვა

ერთადერთი ქვეყანა, სადაც ჩვენიანებს ჯერაც უწევთ თამაში, სლოვენია. ერთის გარდა ყველა „ქარიოლი“ გუნდი უკვე გამოეთიშა ჩემპიონობისა თუ ოასისთვის ბრძოლას. ლიუბლიანის „ოლიმპია“, სადაც ვლადიმერ ბოისა და მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობენ, სლოვენიის ჩემპიონატის ფინალშია და 4 იანვარს „ოქროს“ სერიის პირველი მაჯიც გამართა.

ოლიმპიელებს მეტოქედ თანაქალაქელი „სლოვანი“ ჰყავთ, გუნდი, რომელშიც არაერთი ჩვენიანი დაფრთიანებულა. თავად ბოისამ, ახლა სლოვენიის მრავალგზის ჩემპიონ „ოლიმპიას“ რომ კაპიტნობს, როგორც კალათბურთელი, „სლოვანში“ დიახვეწა, დაღვინდა და მერედა შეუერთდა მის ახლანდელ გუნდს.

ერთი სიტყვით, ქართველთა მოამაგე გუნდი მათსავე ახლანდელ გუნდს ჰვდებოდა და მეტად უცნაურ ვითარებაში დამარცხდა. სანამ ამ უცნაურობაზე გეტყოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ბოლო მატჩებში თავნასახელებ მანუჩარ მარკოიშვილს „სლოვანთან“ არ უთამაშია.

სამაგიეროდ, ითამაშა ბოისამ და 15 ქულით მხოლოდ თანაგუნდელ საშო ოზბოლტს ჩამორჩა, მისი 7 მოხსნა კი ძალზე წაადგათ ლიუბლიანელებს, რადგან „ოლიმპია“ უსაშველოდ ბევრს სცოდავდა თამაშიდან განხორციელებულ ტყორცნებში და ფარიდან ასხლეტილ ბურთებს ვოვა კვლავ თავისიანებს უნარჩუნებდა.

თავად განსაჯეთ: „ოლიმპიამ“ 56 ტყორცნიდან მხოლოდ 17 ჩაადო (30 პროცენტი) და მაინც მოიგო, „სლოვანმა“ კი 43 პროცენტი გამოიყენა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. მაშ, რატომ მოიგო „ოლიმპიამ“? ბოისას გუნდმა საჯარიმოებით გამოუტანა წირვა მეტოქეს. ოლიმპიელებმა 48-ჯერ შეასრულეს საპენალო ტყორცნა და 37-ჯერ იხეირეს.

განსაკუთრებით აქტიურობდა საშო ოზბოლტი, რომელიც 15-ჯერ დადგა საჯარიმო ხაზზე, ხოლო მის კალზე ვლადიმერ ბოისამ 10 ჯარიმიდან 8 ჩაადო.

„ოლიმპია“ თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობდა და უპირატესობას კბილებით ინარჩუნებდა. საბოლოოდ ჩვენიანთა გუნდმა გვარიანი გაჭირვებით, 75:70 გაიმარჯვა და ფინალურ სერიაში 1:0 დაწინაურდა. მომდევნო მატჩი 8 ივნისს გაიმართება, სერია კი 3 გამარჯვებამდეა.

ირაკლი პერტაია

დეტროიტმა მაიამის შურდული წაართვა

3 ივნისი

აღმოსავლეთი

მაიამი 3:3 დეტროიტი

დეტროიტი 91:66 მაიამი

დეტროიტი: ბილაფსი (14), ჰამილტონი (84), პრინსი (16), რ. ვოლესი (11), ბ. ვოლესი (6); ჰანტერი (9), მაკდაიესი (7), აროიო (4), დიუპრე, კემპბელი, მილიჩიჩი

მაიამი: დ. ჯონსი (7), ბატლერი (13), ე. ჯონსი (3), ჰეისლიმი (8 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (24 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება, 4 პასი); დულინგი (10), მურნინგი (1), ანდერსონი, სმიტი, ლეიტნერი, დოლიკი



შავი ღრუბელი ჩამოწვა მზიური ფლორიდის თავზე. „მაიამი ჰითი“ დიდ ფინალთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა — სულ ერთი გამარჯვება სჭირდება. არადა, ვინ იცის, ეს ოცნება ოცნებადვე დაურჩეს. და საერთოდ, „მაიამი“ კი არა, ყველა გუნდი განწირულია, რომელსაც მხოლოდ ერთი კაცის იმედი აქვს და მის გარეშე უმწყემსო ცხვრის ფარად იქცევა.

დუეინ ვეიდი — აი, მაიმელთა სიხარული და ტკივილი. აქამდე ის ძირითადად ბედნიერებას ანიჭებდა თავის გულშემატკივრებს, „დეტროიტთან“ აღმოსავლეთის ფინალის მეხუთე თამაშში კი რაშიდ ვოლესთან შეჯახების შემდეგ ისე დაეცა, ტკივილმა მასზე მეტად „მაიამის“ და მეს ქომაგებს დაუარა.

ის თამაში „ჰითმა“ უეიდოდაც მიიყვანა გამარჯვებამდე, მაგრამ დეტროიტში მეექვსეში ისე შერცხვა, რომ საფინალო სირენიდან ნახევარ საათში ყოველგვარი კომენტან-ინტერვიუების გარეშე გაეცალა „დეტროიტის“ „ობურნ ჰილზ პალასს“.

„ჰითის“ დამწყებ ხუთეულში ვეიდი რაშუალ ბატლერმა შეცვალა და იმ თამაშში გახდა მესამე მაიამელი, ვინც 10 ან მეტი ქულა გააკეთა. მაგრამ სხვები ბუზებს ყლაპავდნენ და შურდულებით მიჰქონდათ იერიში „პისტონზის“ ხუთკოშკიან ციხესიმაგრეზე. მართალია, შაკილ ონილი ოდნავ უკეთ გაისარჯა, ვიდრე წინა მატჩებში, მაგრამ მარტო რას გახდებოდა და მისი გუნდიც 15 ქულით განადგურდა, თანაც მხოლოდ რვ ქულა ჩაუგდო „დეტროიტს“.

მეშვიდე და ორივესთვის გადამწყვეტ ჯახს „მაიამი“ მასპინძლობს და ნაღდი თამაშის გურმანებმა ვისურვოთ, რომ დუეინ ვეიდი ხვალ საღამოსთვის ძაინც დადგეს ფეხზე.

კოტე ყორშია

NBA PLAY OFF 2005 კონფერენციის ფინალი

მუხა ნაიქცა

ნბა-ს ჯორჯ მაიკენი აღარ ჰყავს





გასულ კვირას სკოტსდეილის სარეაბილიტაციო ცენტში 80 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული კალათბურთელი, ნბა-ს პირველი გოლიათი ჯორჯ მაიკენი. ოკენაგანმა ამის გამო გლოვას არ გამოაცხადებენ და ძაძებს არ ჩაიცვამენ, მაგრამ დიდი ჯორჯის სიკვდილმა ყველას დასწყვიტა გული, ვინც კი მას იცნობდა ან რამე გაეგონა მასზე.

ცნობით ბევრი ცნობდა, რაკი წარმოუდგენელია, ნბა-ს მატიანეს პირველი გვერდები გადაშალო და ის ვერ შენიშნო. ის იყო დიდი მოთამაშე და დიდი ადამიანი, ყველაზე დიდი 40-50-იან წლებში, ექვსი ფუთი და 10 დიუმი, რაც სანტიმეტრებში რომ გადმოვიყვანოთ, 208 გამოდის.

მაიკენის თანამედროვე ბობ კოუზი იგონებს:

„მისი „ლეიკერსი“ ჩვენს „სელტიქსს“ რომ ხვდებოდა, ის დღე ჩამწარებული ჰქონდა ჩვენს ცენტედ მაკოლის. ედიც კარგა მაღალი ბიჭი იყო, 206 სანტიმეტრი, მაგრამ ჯორჯთან მაინც ბავშვივით პატარა ჩანდა, ერთხელ ედი შემთხვევით ქუჩაში ხეს შეეჯახა და წაიბურტყუნა — ბოდიში, ჯორჯ, ვერ დაგინახეო.“

ჯორჯ მაიკენმა 1950-55 წლებში 5-ჯერ პირადად აჩემპიონა „მინეაპოლის ლეიკერსი“. იმდენად დიდი და ძლიერი იყო, რომ ვერავინ ვერაფერს უხერხებდა, ამიტომ აშკარად და უმოწყალოდ ურტყამდნენ ხელებში. ტრავმების გამო ადრეულად დამთავრა კარიერა. გადიტანა შვიდი მოტეხილობა და დაუთვლელად ბევრი შედარებით მსუბუქი ტრავმა. მის შესაჩერებლად ნბა-მ 1954 წელს ერთი გუნდის შეტევის დრო 24 წამამდე შეზღუდა, რაკი მოწინააღმდეგეები შეგნებულად წელავდნენ დროს, მაიკენს იმვიათად რომ ჩავარდნოდა ბურთი ხელში.

ერთი სიტყვით, მან ძალიან ბევრი რამ შეცვალა კალათბურთში და ეს დღეს, მაიკენის თამაშიდან ლამის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ერთობ მკაფიოდ ჩანს.

განსაკუთრებით მაღალი მოთამაშეები იგონებენ მაიკენს თბილად, რაკი ის პირველი ნამდვილი ცენტრალური თავდამსხმელი იყო და ყოველი თაობა მისგან სწავლობდა ბევრს.

შაკილ ონილი:

„მე ვიცი, ვინ იყო ის და რა გააკეთა. ჯორჯი დიდებული ადამიანი იყო. ჩვენ ადრე ხშირად ვსაუბრობდით და მე ყოველთვის დადებითად ვიმუხტებოდი მასთან ურთიერთობაში. ჯორჯ მაიკენი რომ არ ყოფილიყო, დღეს მე შაკილ ონილი არ ვიქნებოდი და არც კალათბურთი იქნებოდა ასეთი.“

ქარომ აბდულ-ჯაბარი:

„ის გვაჩვენებდა ჩვენ, მაღლებს, რა უნდა მოგვეხერხებინა ჩვენი გრძელი სხეულისთვის. კუჭა ტყორცნები, ტანით თამაში, ამ საკალათბურთო საფუძვლებს ჯორჯ მაიკენთან მივყავართ. მოდანსვარეთაც ჯენტლმენი და დიდებული ადამიანი იყო და მიხაროდა, მას რომ ახლოს ვიცნობდი. მადლობა, ჯორჯ! ვწუხვარ, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ.“

ბილ უოლტონი:

„30 წლის წინ ნბა-ში რომ მოვხვდი, პირველ რიგში ჯორჯ მაიკენთან მივედი რჩევებისთვის. დიდებული მოლაპარაკე იყო და ბევრი კარგი დარიგებაც მომცა. ახლაც მესმის მისი სიტყვები: „ბილ, მე ცხოვრების დასაწყისშივე მივიღე კარგი გაკვეთილი — რაც მეტს შრომობ, მით უფრო იღბლიანი ხდები.“

კვინ გარნეტი:

„ვინც არ იცის, ვინ იყო ჯორჯ მაიკენი, მას კალათბურთში არაფერი ესაქმება.“

ჯორჯ მაიკენი ერთ-ერთი პირველი აირჩიეს კალათბურთის დიდების დარბაზში. ეს მოხდა 1959 წელს, ხოლო ნბა-ს ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე, 1996 წელს, ის დაასახელეს ასოციაციის ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის. მაიკენი იოლად მოიპოვებდა ადგილს, თუნდაც ეს სია 10-კაციანი ყოფილიყო.

სიცოცხლის ბოლო წლებში დაიბეტს ებრძოდა. ხუთი წლის წინათ ფეხიც დაკარგა და ბოლოს, როგორც ყველა, ეს მართლა დიდი ადამიანიც დამარცხდა ამ ბრძოლაში. რამდენიმე დღეში ის 81 წლისა გახდებოდა.

კოტე ყორშია

ᲔᲕᲠᲝᲩᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲣᲓᲝᲡ ᲣᲖᲑᲔᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘ



ᲐᲑᲓᲣᲚᲐ ᲢᲐᲜᲒᲠᲘᲔᲕᲘ

ახალ ქართულ კლუბ „საგარეჯოს“ ევროდებიუტი მარცხიანი გამოდგა. საქართველოს ნაკრების ბაზაზე დაკომპლექტებული და სამი ლეგიონერით გაძლიერებული საჩემპიონო ამბიციების გუნდი ევროპის საკლუბო ჩემპიონატს პირველივე წრიდან ისე გამოეთიშა, ფავორიტობისას ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა

ათენის ოლიმპიადის შემდეგ ძიუდოს პოპულარობა საქართველოში იმდენად გაიზარდა, ხალხი არა მარტო ზვიადაურისა და ხერგიანისგან, არამედ ნაკრების ნებისმიერი წევრისგან დიდ შედეგებს ელის. რა გასაკვირია, საკლუბო ევროპაზეც ყველა ოქროზე ფიქრობდა და „საგარეჯოს“ ფინალურ ეტაპზე გასვლა თავიდანვე მოგვარებულ პრობლემად ჩანდა.

ჩვენი ოპტიმიზმი „აბენსბერგის“ შემადგენლობის გაცნობისთანავე მინელდა. რამდენად ძნელი გადასატანიც არ უნდა იყოს, სიმართლე ერთია, გერმანელებს გაცილებით ძლიერი კრებული ჰყავთ და კანონზომიერების თვალსაზრისით სწორედ მათ უნდა ემარჯვათ. ასეც მოხდა. მშობლიური კედლების ფაქტორითა და მსაჯების მცირე სიმპათიით გამხნევებულმა აბენსბერგელებმა შავი დღე გვაყარეს.

ქართველი ქომაგის იმედგაცრუება პირველივე შეხვედრიდან დაიწყო. ავსტრიელმა ევროპის ჩემპიონმა ლუდვიგ პაიშერმა ნესტორ ხერგიანის წამოწყებული ილეთი იპონით დასრულა და ანგარიშიც გახსნა. 66 კილოგრამში დავით მარგოშვილი უნგრელ ევროპის ჩემპიონს, მიკლოშ უნგვარს დაუპირისპირდა და ფრით დასცილდა. მესამე-მეოთხე შეხვედრის შემდეგ „აბენსბერგი“ უკვე 3:0-ს იგებდა. დავით ქევხიშვილი (73კგ) და გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) ასევე ევროპის ჩემპიონებთან, გაესპანელებულ იაპონელ კიოში უემაცუსა და გერმანელ ოლე ბიშოფთან დამარცხდნენ.

პირველი ქართული ქულა წონაშეცვლილ ჯარჯი ზვიადაურისა იყო. აშკარად ჩანდა, ოლიმპიურ ჩემპიონს ჩვეულ ფორმამდე ბევრი აკლდა, მაგრამ ესტონელი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორის დიმიტრი ბუდოლინის დაიპონება მაინც იოლად შეძლო.

ივერი ჯიქურაულმა (100კგ) ათენის ოლიმპიურ ბრინჯაოსან გერმანელს, მიხაელ იურაკს ვერაფერი მოუხერხა, თუმც თავადაც არ დაეჩაგვრინა და საერთო ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების შანსი აბდულა ტანგრიევს (+100კგ) გადაულოცა.

„საგარეჯოს“ უზბეკი ლეგიონერის აბენსბერგული ჭიდაობა ცალკე სასაუბრო თემაა. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ქართულ გუნდში საუკეთესოდ სწორედ ივი გამოჩნდა. მსგავსი საბრძოლო შემართება მართლა არავისთვის შეგვინიშნავს. თან ორივე პირადი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. ჯერ ორგზის ოლიმპიური პრიზიორი, ესტონელი ინდრიკ პერტელსონი დასცა ბეჭებზე, ხოლო ბოლოს ევროპის ვიცეჩემპიონი, გერმანელი ივან რადუ-დებულების თანახმად, მეორე წრეში გასასვლელად თითო წონა ორ-ორჯერ უნდა დასჭიდებოდა ერთმანეთს. პირველი ბრძოლების შემდეგ „საგარეჯო“ 2:3-ს აგებდა და, ცხადია, მდგომარეობის გამოსწორებაზე ფიქრიც რეალურად შეიძლებოდა.

ხერგიანისგან პაიშერზე რევანშის აღებას და ანგარიშის გათანაბრებას ამაოდ ველოდით. ხაბარელმა ნესტორი რევაზ ციდირიდისით შეცვალა და არ გაუმართლა. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური წყვილის მეორე დაპირისპირებაც ავსტრიელის გამარჯვებით დასრულდა. მარგოშვილისა და ქევხიშვილის ჭიდაობების შემდეგ ჩამორჩენა ოთხ ქულამდე გაიზარდა, 2:6 და ერთი ნაბიჯი საერთო მარცხამდე. საქმეს ოთხივე დარჩენილი ბრძოლის მოგება თუ გამოასწორებდა, მაგრამ...

მამრიკიშვილმა ბიშოფი გვარიანად ანერვიულა. ასპროცენტიან იპონზეც დასცა, თუმც ვაზარად შეუფასეს და ბოლოს იპონზე თავად დავარდა. პრესტიჟის ქულის აღება ვეღარც ჯარჯი ზვიადაურმა და ჯიქურაულის ნაცვლად მოჭიდავე გიორგი ყიზილაშვილმა შეძლეს, ტანგრიევმა კი უმოტივაციო ბრძოლაც ლამაზად ჩაატარა.

„აბენსბერგმა“ 9:3 იმარჯვა და მეორე წრის საგზური გაინაღდა. მოგვიანებით ფრანგული „რასინგიც“ ჩამოიცილა, რითაც საშემოდგომო ნახევარფინალს უწყია. „საგარეჯოს“ და ქართველი გულშემატკივრების იმედი კი ერთი წლით გადიდდა.

დასკვნები მწვრთნელ-სპეციალისტებისთვის მიგვინდია, ჩვენა აჩრდილი კი, ევროთასს ამ შემადგენლობით ვერც მომავალ სეზონში აკეთებს და ვერც მერე. ადგილობრივი კლერებით და თითო-ოროლა ლეგიონერით ევროკრებულის დამარცხება ყოველთვის ერთნაირად გაჭირდება. უცხოელთა შემატება ძიუდოს ქართული სკოლის შეურაცხყოფა არანაირად არ იქნება. [illegible] წონაში კონკურენცია [illegible] ეს საერთო შედეგსაც [illegible]

და ისევ „აბენსბერგი“. [illegible] ბის წევრები არიან ევროპის, [illegible] ოლიმპიურ [illegible] ზიორები ოსკარ ბენაი [illegible] 66კგ), ჟოაო ბინა [illegible] ვსევოლოდის ზელიონისა [illegible] 73კგ), ვლიმს ბედრო [illegible] 73კგ) [illegible] ქსი ბუდოლინი [illegible] ივორ [illegible] არიელ ზეგი [illegible] ერთ ამბავს „საგარეჯო“ [illegible] მონაწილეობა არ [illegible]

„აბენსბერგ“ — „საგარეჯოს“ დაპირისპირებას ერთ-ერთი საკვანძო ეტაპი [illegible] ერთად კუბოკრიკ [illegible] პორტაჟის დასრულების შემდეგ ძიუდოისტების მოსაცმელი [illegible] და, დაკეცა და წვიმის [illegible] ვად შინ [illegible] წავიდა.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲝᲛᲝᲑᲐᲜᲐ ᲙᲣᲡ ᲢᲑᲐᲖᲔ



ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, კუს ტბაზე ერთი საინტერესო რამ მოხდა — გაიხსნა პეინტბოლის კლუბი „სპა“. ჩვენ ამ ამბით იმად დავინტერესდით, რომ პეინტბოლს ზოგიერთ ქვეყანაში სპორტის სახეობად მიიჩნევენ, თუმცა სპორტულის გარდა ამ თამაშს ბევრი სხვა დატვირთვაც ახლავს.

იმის გარდა, რომ პეინტბოლი, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა „ომობანა“ დიდებისთვის, კარგ გასართობს წარმოადგენს. მას ზოგიერთ ქვეყანაში ძალოვანი სტრუქტურებიც აქტიურად იყენებენ, როგორც წვრთნის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას.

კლუბის გახსნის პატივი ორ გუნდს ერგო, რომლებიც პოპულარული ადამიანებით გახლდათ დაკომპლექტებული. კაცების გუნდში ზურაბ ჭიაბერაშვილი, მიშა ანდღულაძე, ირაკლი იმნაიშვილი, ნიკა ქავთარაძე, დავით კირკიტაძე და გია ჭანტურია მოხვდნენ, ქალთა გუნდში კი ინგა გრიგოლია, ნინი ბადურაშვილი, თეა რუსიტაშვილი, ნათია ლაზაშვილი, ნინო ხოშტარია და სოფო ხუნწარია.

პნევმატური „საღებავმტყორცნი“ იარაღით აღჭურვილი მამაკაცები ბრძოლის დაწყებისთანავე შეტევაზე გადავიდნენ და პოზიციების დაკავება დაიწყეს, ქალებმა კი ფრთხილ და ჭკვიანურ ტაქტიკას მიმართეს. საფარში გამაგრდნენ და „მტრის“ მოახლოვებას ელოდნენ. ცოტა ხანს პოზიციური ბრძოლა მიდიოდა, შემდეგ კი ირაკლი იმნაიშვილი ჭეშმარიტი კამიკაძესავით მოიქცა და მტრის ბანაკში შეიჭრა, ორი მოწინააღმდეგის „განადგურების“ შემდეგ თავადაც გამოეთიშა ბრძოლას. ამ გმირობისთვის ნომინაციაში — „საუკეთესო მკვდარი“, ჟიურიმ სწორედ ირაკლი იმნაიშვილს მიაკუთვნა გამარჯვება.

ქალაქის მერი ნათია ლაზაშვილის „ტყვიამ“ იმსხვერპლა. „უკანასკნელი მოჰიკანივით“ ეულად დარჩენილ ნიკა ქავთარაძეს კი ტყვიები თუ საღებავი დაეცალა და მოწინააღმდეგემ ჯვარედინი ცეცხლით მოუღო ბოლო.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, პეინტბოლი მართლაც სახალისო რამ გახლავთ და თუ ბავშვობის ნოსტალგია მოგეძალათ, აუცილებელი არ არის, შვილს სათამაშო ავტომატი წაართვათ და ეზოში სათამაშოდ გავარდეთ. შეიძლება, მეზობლებმა თქვენი ასეთი საქციელი სხვანაირად გაიგონ. ამას აჯობებს, ადგეთ და კუს ტბის გზას დაადგეთ.

ᲚᲐᲓᲝ ᲤᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ

ლომების ტურნე 2005

ლომები — ბალოჩი და ოდრისკოლი ზელანდიელი ლუთუის შეჩერებას ცდილობენ

უსვლელობიანობა სიუსვის ყურეში

ლომების პირველი გამარჯვება

4 ივნისი. როტორუა

ბეი ოფ ფლენთი	20:34	ლომები
(ახ. ზელანდია)		(დიდი ბრიტანეთი-ირლანდია)

ბეი ოფ ფლენთი: ქეშმორი, ბოლავუკუ, ბანტინგი, მაკქუიდი, ტაპანა; ვილიამსი, სენიო; ბურკი, ლატუ, ორმონი (კაპ), აფთონი, სორენსონი, ქასლი, ლუთუი, დევისონი

სათადარიგოები: პარენგა, ფილისე, თუფაი, სმითი, ჰაბარდი, მუნი, სტიუარტი

2 ლელო: ბურკი, ვილიამსი; *2 გარდასახვა:* ვილიამსი; *2 საჯარიმო:* ვილიამსი

ლომები: ლიუსი, ქუეტო, ოდრისკოლი (კაპ), ჰენსონი, შანკლინი; ოგარა, ფილი; დალალიო, ვილიამსი, ჰილი, ქეი, ოკონელი, სტივენსი, ბალოჩი, ჯენკინსი

სათადარიგოები: ტომსონი, შერიდანი, ოკალაჰანი, ქორი, დოუსონი, ჰოჯსონი, დარსი

6 ლელო: ლიუსი (2), ქუეტო, შანკლინი, ფილი, დარსი; *2 გარდასახვა:* ოგარა

ვულკანებით გარშემორტყმული როტორუაში მრიცხოვანთა და ირლანდიის „ლომებმა" სიუსვის ყურის ნაკრებთან თამაშით ახალზელანდიური ტურნე გახსნეს.

„ლომებმა" მასპინძლებს 6 ლელო დაუდეს, რომელთაგანაც მხოლოდ ორის გარდასახვა მოახერხეს. „ყურელებმაც" ორი გარდასახვა გაიტანეს, თუმცა ეს მათი ასპროცენტიანი შედეგი იყო, რადგანაც არც ლელო გაუტანიათ მეტი.

მბრძოლველად გამარჯვებისა, „ლომებს" მეტად სამწუხარო ამბავი შეემოხვა. ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ლოურენს დალალიო სერიოზულად დაშავდა და გუნდს ტურნეში ველარ დაეხმარება.

ბრიტანელ-ირლანდიელები პირველივე წუთიდან ეკვეთნენ მასპინძლებს და მათი მუსვრა დაიწყეს. მსაჯის სასტვენიდან 10 წუთი თუ იქნებოდა გასული, რომ ანგარიში უკვე 7:0 იყო ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კაცები ბავშვებს ეთამაშებოდნენ.

ასეთი იყო თამაში პირველ ათწუთეულში, შემდეგ კი ზელანდიელებმა გამოიღეს თავი და ახლა მათ დაიწყეს მომხვდურთა რბევა. პირველი ტაიმი ფრედ, 17:17 დამთავრდა.

მეორე ტაიმში „ლომებმა" თამაში გამოასწორეს და პირველ ნახევარში გატანილ სამ ლელოს კიდევ სამი მიამატეს. კვლავ 17ქულა მოაგროვეს და ჯამში 34 გამოუვიდათ. მოწინააღმდეგემ მინაგარს მხოლოდ ერთი საჯარიმო დარტყმა მიამატა და 20 ქულაზე მეტს ველარ შესწვდა.

ძალის საუკეთესო მოთამაშედ ალბათ ჯონ ლიუსის აღიარება იქნება უპრიანი. ჯონშმა 2 ლელო მოიოვალა, რამდენჯერმე მეტოქის შეტევა ჩაჭრა, რამდენიმე ბრწყინვალე გარღვევა განახორციელა და მაღალი ბურთისთვისაც გვარიანად იბრძოდა.

ლოურენს დალალიო ჩვეულებისამებრ ბრწყინვალედ ირჯებოდა და სერიოზული ტრავმა რომ არ მიეღო, ეგებ მატჩის გმირიც გამხდარიყო.

შემდეგი თამაში „ლომებს" ახალ პლიმუთში „ჯარანაკის" წინააღმდეგ ელით.

ამ თამაშისათვის კლაივ ვუდვორდის რჩეულთა ვინაობა უკვე ცნობილია და ჩვენც რალა დავიჩაჩინა, სიას გთავაზობთ: გორდან მერფი (ლესტერი, ირლანდია), შეინ ჰორგანი (ლინსტერი, ირლანდია), ვილ გრინვუდი (ლესტერი, ინგლისი), ოლი სმითი (ლესტერი, ინგლისი), დენის ჰიკი (ლინსტერი, ირლანდია); ჩარლი ჰოჯსონი (სელი, ინგლისი); კრის ქუსიტერი (ბორდერსი, შოტლანდია), მაიკლ ოუენი (დრაგონსი, უელსი), ლიუის მუდი (ლესტერი, ინგლისი), მარტინ ქორი (ლესტერი, ინგლისი), დენი გრიეკოკი (ბასი, ინგლისი), დონნა ოკალაჰანი (მუნსტერი, ირლანდია), ჯონ ჰეფესი (მუნსტერი, ირლანდია), ენდი ტიტერლი (სელი, ინგლისი), გრემ როუნორი (ლესტერი, ინგლისი).

სათადარიგოები: შეინ ბირნი (ლესტერი, ირლანდია), გეთინ ჯენკინსი (კარდიფი, უელსი), ბენ ქეი (ლესტერი, ინგლისი), მარტინ უილიამსი (კარდიფი, უელსი), გარეთ კუპერი (დრაგონსი, უელსი), ჯონი ვილკინსონი (ნიუკასლი, ინგლისი), გეინ ჰენსონი (ოსპრისი, უელსი).

გუნდს მართინ ქორი უკაპიტნებს, რომელმც ტურნეს პირველ მატჩში 20-ე წუთზე დაშავებული ლოურენს დალალიო შეცვალა. კაპიტნობის კიდევ ერთი კანდიდატი ულსელი მაიკლ ოუენი გახლდათ, რომელიც არგენტინასთან ტესტ-მატჩში გაუძღვა გუნდს, თუმც მაშინ მოედანზე შეუმჩნეველი იყო, რაც სერ კლაივ ვუდვორდს არ გამოპარვია და ახლა ლიდერის ფუნქცია სხვას მიანდო.

ლადო ფულუკიძე

სახელოვანი ინგლისელი ლოურენს დალალიო რაგბის ექვსი თვით გამოეთხოვა

შვიდკაცა

ფარიც-შბან დაგვრჩა, სინიც და თასეგიც

შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის ერთ-ერთი ეტაპი, რომელზეც ქართველი „ბორჯღალოსნებიც" მონაწილეობდნენ, 4-5 ივნისს ლონდონში გაიმართა და ჩვენებურთა სრული ფიასკოთი დამთავრდა.

ჯგუფში, სადაც ჩვენს გარდა ინგლისმა, სამოამ და საფრანგეთმა მოიყარა თავი, თამაშს რომ ვერ მოვიგებდით, თავიდანვე ცხადი იყო, თუმცა არც ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ დაგვადგა კარგი ღელ.

ტურნირში 16 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 4 ქვეჯგუფში განაწილდნენ. დაკავებული ადგილის გათვალისწინებით, გუნდები ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ სხვადასხვა ხარისხის ჯილდოსთვის აგრძელებდნენ ბრძოლას.

პირველი თამაში სამოასთან მოგვიწია და ალბათ ყველაზე მეტად ამ მატჩით უნდა ვიყოთ კმაყოფილნი, რადგანაც 10:22 წავაგეთ და თამაშში მოჩვენებითი ინტრიგა მაინც იგრძნობოდა.

მეორე თამაშში ინგლისთან 5 ქულა კი ავიღეთ, მაგრამ ალბიონელთა 33-თან, აბა, ეს რა მოსატანია?! ბოლო თამაშში 3 ქულის „გაკეთებაც" კი ვერ მოვახერხეთ და ფრანგებთან 0:38 დავმარცხდით.

ამ შედეგმა არც მთავარი თასისთვის ბრძოლის საშუალება მოგვცა და არც სინისთვის. „ბორჯღალოსნები" მცირე თასის მეოთხედფინალში მოხვდნენ, სადაც ტუნისი გადაგვეყარა.

ჩრდილოაფრიკელებმა ჯგუფში ორი თამაში მოიგეს და ერთი წააგეს. ახალ ზელანდიასთან 0:27 დათმეს, შოტლანდიასთან 0:17, რუსებს კი 35:14 მოუგეს.

სამწუხაროდ, ტუნისმა პირწმინდად მოგვიგო 33:0 და მცირე თასისათვის ბრძოლა განაგრძო, ჩვენ კი ფარისათვის ბრძოლაში შეგვრჩა, რომლის ნახევარფინალშიც კენია გვერგო მეტოქედ.

კენიამ D ჯგუფში არგენტინასთან და საბრეთ აფრიკასთან დათმო შეხვედრები შესაბამისად 0:38 და 12:24, ბოლო თამაში კი პორტუგალიას 19:12 მოუგო.

მცირე თასის ნახევარფინალში აფრიკელებს იტალიელებმა 22:17 აჯობეს და კენიაც ამ მარცხის გამო გახდა ჩვენი მეტოქე.

სამწუხაროდ, ვერც კენიასთან ვიჩაუქეი და 12:17 წავაგეთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტურნირი 5 წაგებით დავასრულეთ და ფარიც უკან დაგვრჩა, მცირე და დიდი თასიც და სინიც.

ჩვენს დარად, მხოლოდ რუსეთი შერცხვა და როგორც მასთან „კეთილმეზობლურ" ურთიერთობას შეჰფერის, მე-15-16 ადგილებიც რუსებთან გავიყავით.

აქვე ფინალური შეხვედრების ანგარიშებსაც გაგაცნობთ.

ფარის ფინალში კანადამ კენიას აჯობა 28:12, მცირე თასისათვის ბრძოლაში საბამ 27:0 გაანადგურა ტუნისი.

სინის ფინალში ავსტრალიელებმა ფიჯელებს დაუთმეს 12:29, ხოლო თასის ფინალში და ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ერთურთს მასპინძელ ინგლისელებს საძრეთაფრიკელები გადაეყარნენ. სტადიონზე შეკრებილთა სამწუხაროდ, საძრეთაფრიკელებმა 21:12 მოიგეს და თასს დაეპატრონენ.

ლადო ფულუკიძე

ᲠᲝᲚᲐᲜ ᲒᲐᲠᲝᲡᲘ 2005

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲜᲐᲓᲐᲚᲘᲪᲮᲐᲪᲘᲐ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ (4, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲝ �პᲣᲔᲠᲢᲐ (ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ) 6:7 (6:8) 6:3 6:1 7:5

ᲐᲛ მარიანო პუერტას კი ბარაქიანი ხელწაღმა ჰქონია და პირველ სეტში დაჭიმული ბარძაყის მიუხედავად ზედიზედ მესამე სამსაათნახევრიანი მატჩიც — გილერმო კანიასისა და ნიკოლაი დავიდენკოს ძლევის შემდეგ — ასევე მიმწოლად და გამძლედ ჩათამაშა. მომენტებში ეშხიანადაც ირჯებოდა და ერთგან ბორის ბეკერისებრი ჰაერხტომიც გამოუვიდა.

ერთი სიტყვით — როცა მეტოქეს თამაშის მეხუთე სეტში გადასაყვანად ეტეკვებოდა, ლიანგიც აიყოლია და თვით მეტოქის მწვრთნელ ტონი ნადალსაც კი დააკვრევინა ტაში. მაგრამ რად გინდა, თუკი უმრავი მოჭრილი ბურთისთვის ბადესთან მივარდნილი შემთხვევათა უმრავლესობაში უხეიროდ ირჯებოდა და სწორედ მაშინ მიჰქარავდა, როცა რომ გადამწყვეტი მომენტი დგებოდა. არადა, აკი თქვენც კარგად უწყით ის ბანალური ჭეშმარიტება, რომ სწორედ გადამწყვეტ მომენტში ვარგისიანობა-უვარგისობა განასხვავებს ერთმანეთისგან გამარჯებულსა და დამარცხებულს. ასე იყო გუშინაც — იმას, რასაც მიჰქარავდა პუერტა, არ მიჰქარავდა რაფაელ ნადალი და სწორედ ამის გამო იყო, პირველი გათამაშებიდან 3 საათისა და 24 წუთის თავზე ამ ცეცხლოვანმა მალიორკელმა მუჭაჭომ თავის ბედისწერას ლაგამი რომ ღონივრად ამოდო და შიგ ისტორიის წიაღში შეიჭლიგინა...

როცა ამ 19 წლის მძლავრბიცეპსა და კორტზე მართლაც ურა კვიცივით მოკუნტრუშე ყრმის ჩოგნაობაზე წერ, ძნელია, კლავიატურა დაიმორჩილო და მშობლიურ ენას ძარღვიანი სიტყვები არ გამოსცრა. ძვირად თუ ვინმეს ასეთი დაგეშილი, ერთი კიდიდან მეორისაკენ და მერე პირუკუ და მერე ბადისკენ ბურთის შმაგად მდევნელი ჭაბუკი ხვადი ეხილოს. და აკი მის მიერ მორეწილიც იმას იუწყება, რომ რაფაელ ნადალი ის კაცია, სარეკორდო დავთრების გადაწერა უკვე რომ დაიწყო და ყველა რეკორდს ეგრევე თუ ვერ ამხობს, დამმხობთა გვერდზე მაინც ფიქსირდება.

ასე მაგალითად, ლეგენდარული შვედის, მატს ვილანდერის შემდეგ, ვინაც თავისი სადებიუტო როლანგაროსობა 1982 წელს მოიგო, ნადალი გახდა პირველი, ვინაც ამ ტურნირზე პირველივე ცდისას იმარჯვა. ის გახდა ასევე ამ ტურნირის უმრწემესი გამარჯებული 1989 წლის ანუ მას შემდეგ, რაც რომ იქ თავისი პირველი და უკანასკნელი საკარიერო სლემტიტული 17 წლის მაიკლ ჩანგმა მოიკა. იმარჯვა რა თავის ზედიზედ 24-ე მატჩში — და 24-ვე მან სწორედ თიხაზე მიითვალა — ნადალი ღია პირველობათა ერაში ანუ 1969 წლიდან ზედიზედ ყველაზე მეტი მატჩის მომგები თინეიჯერი შეიქნა.

ცნობისთვის: აქამომდელი რეკორდი თვით ანდრე აგასის ეკუთვნოდა.

სხვაფრივ — შიდაკაკიური ფინალი როლანგაროსზე 1946 წლის შემდეგ ალარ შემდგარა და ნადალი გახდა პირველი ცაცია გამარჯებული 1995 წლის შემდეგ. ვინძლო, გახსოვდეთ, იმ წელს პარიზული სეფეთიხნარი საჩემპიონოდ შეუპოვარმა ავსტრიელმა ტომას მუსტერმა გაჯეგა.

ისე კი — ეს იყო ნადალის 48-ე საამსეზონო გამარჯება (6 მარცხის ფასად) (2 მარცხის წინააღმდეგ) (47 ... ბის მომხვეჭ როჯერ ფედერერს გადაუსწრო. ამ 48-ე გამარჯებამ მას მე-6 საამსეზონოვე და მე-7 საკარიერო ტიტული მოუტანა და, თუკი საკარიერო ტიტულია რაოდენობით ის ფედერერს ალარ ეკარ გაეჯიბრება — ეს უკანასკნელი 28 ჯილდოს მოიძევს — წლეგანლილი მონაგარით მას უკვე ... ეტოლება. აქვე ისიც ... ცნობა, რომ კარიერის პირველმა ... ტიტულმა ნადალის ... 6 ... 536 დოლარით ... .

და ისევ მატჩზე. მიუხედავად ... ლოდინისა, რომ შესაძლოა, ... წყენი საათიხნარო განდგომა ... ხილა, ჩვენ ორი მართლაც ... ულებრივი სეტი ვნახეთ. ნადალის მიერ იოლად მოგებულ მეორე-მესამე სეტებამდე და მათ მერე მეტოქეებმა მაყურებელს მადალხარისხოვანი, მრავალფეროვანი და შუშპარა ჩოგბურთით ... ... ალარ ყოფილა აქ — უბასიონო ... აგონალურები თუ უხალიფეტ ... ჭრილები, აბლაბუდა კომბინაციები თუ უხანგრძლივესი ... მკვრელი გათამაშებანი.

ერთი სიტყვით, მრავალს ... ეშინოდა, მარიანო პუერტა თამაშს გააფუჭებდა, ამ სეტებში მას ... ორიგინალად მიჩნეული ნადალისგან ... ტოლი არ დაუდია. უჩვეულოწილ უტეედა კიდეც და დაკვეთა თამაშის შედეგროსნულ მაკალოდ ... აჩვენებინებდა. მოკლედ — ... 26 წლის არგენტინელმა ... ... სულ მთლად ჩამოიტანა ... მარმანდელი დოპინგსკანდალის ... აკრული ტალახი და მრავალი ... მაგიც რომ დამსახურებლად ... ... 541 200-დოლარიანი ... ... ალალად ირგუნა.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲟᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲘᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ (10, ᲑᲔᲚ�გᲘᲐ) — ᲛᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲡᲘ (21, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 6:1 6:1

ᲛᲘᲗᲔᲚᲘ ეს ამბავი რომ სწორედ ამგვარად უნდა გასრულებულიყო, უკვე მას შემდეგ გახდა ცხადი, რაც ჭინკა ბელგიელმა მეოთხე წრეში აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის გამარჯებულ სვეტლანა კუზნეცოვას უშელავთო სამსაათიან შეხლაში სძლია და თანაც ისე, რომ გადამწყვეტ მომენტში ორი მატჩბურთიც წაჰგვარა. თუკი მანამდე ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი ჯერაც ვერ გამოიყურებოდა ისე ბასრად და დამაჯერებლად, კუზნეცოვასთან გადატანილი თრილერის შემდეგ მან საბოლოოდ ირწმუნა, რომ მის უნატიფეს ხელუკულმას, უძლავრეს ხელწაღმას, დაყენებულ მოწოდებასა და კორტზე ალქაჯივით სრბოლას წინ ნაღდად ველარავინ დაუდგებოდა.

ჰოდა, ვერც დაუდგნენ — კუზნეცოვას შემდეგ მან მიჯრით წამოაქცია ტურნირის ფავორიტად შერაცხული მარია შარაპოვა, ამას მეორე, კამოდივით რუსგოგო ნადია პეტროვაც მიაყოლა და გადამწყვეტ მატჩში უფრო გაუსაჩივრებლად და უმოწყალოდ შემუსრა 2000 წლის ჩემპიონი, თავის მესამე როლანგაროსულ ფინალში მოსარჯე 30 წლის კანადოფრანგი ბანოვანი მარი პირსი.

როგორც სტატისტიკა გვამცნობს, ეს იყო საფრანგეთის ღია პირველობის ყველაზე ცალკორტა ფინალი 1988 წლის ანუ მას შემდეგ, რაც რომ დიადმა შტეფი გრაფმა 6:0 6:0 დაამყნო ნატაშა ზვერევა. თუმცა ენა მაინც არავის მოუბრუნდება საიმისოდ, რათა შეეტერანებული პირსის მისამართით აუგი დასცდეს. ეს ამაგდარი მეჩოგნე თავის საზეო და საჩემპიონო ასაკის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ებრძოდა ტრავმებს და ამქარში დაბრუნებულმა ეგრეც ერთხელაც ველარ შესძლო, ისევ ვარსკვლავებს შესთამაშებოდა. ის, რომ პირსი კარიერის დასალიერზე კიდევ ერთხელ გაედავა უპირველეს მეჩოგნეთ, ფინალისკენ მიმავალ გზაზე ამეამინდელი პირველოსნის ლინდსი დევენპორტის ძლევაც მოახერხა და საერთოდაც რიგიანი ჩოგბურთი აჩვენა, სავსებით ჰპატიობს მას უსუსტეს საფინალო თამაშს. ჯერ ერთი, ის ხომ ძალიან ნერვიულობდა, რაკილა მშობლიური პუბლიკის წინაშე ვეტერნად წარმდგარმა თავადაც მშვენივრად უწყოდა, რომ ჭინკა ჟუსტინის „სამყოფ" ჩოგბურთს ვერ ითამაშებდა. სწორედ ამის გამო იყო, მან თუნდაც იმის ჩვენებაც რომ ვერ შეძლო, რამაც ... მიაღწევინა. მეორეცა და, ...

AFP ნიუ ჯერსიდან

სუმო სხვაგან

ეს სუმო კია, მაგრამ იმ სუმოს პენი აკლია. ყოველთვის ასეა, როცა სუმო იაპონიის საზღვრებს გამოსცდება. ნიუ ჯერსიში კი შეერთებული შტატების ჩემპიონატი იწყება.

ლომუ გამოჩნდა

ლონდონში, თვიქნემის ბალახზე ამხანაგური რაგბი იყო. ჯონა ლომუს (შავებში) 15 ინგლისის ყოფილი კაპიტნის მარტინ ჯონსონის 15-ს შეხვდა. ლომუმ ბოლო სამ წელიწადში პირველად იბურთავა თირკმლის ტრანსპლანტაციის შემდეგ.

AFP ლონდონიდან

ძიუმ წაგო

კოსტია ძიუმ დათმო ტიტული. ბანჩესტერში გამართულ დიდ ბრძოლაში რიკი ჰატონმა (მარცხნივ) მე-11 რაუნდში გააჩერა ჩემპიონი. ყველა ბერდება — დიდი ჩემპიონიც. დასისხლიანებულმა ძიუმ უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე.



AFP ბანჩესტერიდან

სალამი გამარჯვებულს

ასე ესალმება მაყურებელი ირლანდიელ ჟოკეის ჯონი მურტაგს, რომელმაც ე.წ. მოტივატორის დოღი მოიგო. ეს დოღი ეფსომ დაუნში ტარდება ასკოტის სადოღე კლუბის მიერ. ორდღიანი დოღის ფესტივალი უმდიდრესია ევროპაში და მას ინგლისის არისტოკრატია ეტანება.

AFP დებრეცენიდან

უნგრულ დებრეცენში ტანვარჯიშის ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, აი, ჩემპიონიც — ესპანელი რაფაელ მარტინესი.



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეოლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერასოვა, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ ჭერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პრიმაუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge